საქართველოს რესპუბლიკა

www.sakresp.ge



იმისთანა ჭმინდა საქმეში, რიგიერიც ბეჭდვური სიფცვაა, ფაფიულებით და ჭიჭებით ბეჭთის გაფანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

შაბათი, 9 ივლისი. 2016 წ. №127 (8019), გამოცემის 98-ე წელი | ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge | ფასი 50 თეთრი.

ევროკავშირი და ნატო სხვადასხვა პლანეტაზე არიან?!.

ევროკავშირის საბჭოს პრეზიდენტის **დონალდ ტუსკის** განცხადებით, დღეს ევროკავშირი და ნატო ერთი და იგივე საფრთხის წინაშე დგანან. თუმცა, მისივე თქმით, „ზოგჯერ გვეჩვენება, თითქოს ევროკავშირი და ნატო სხვადასხვა პლანეტაზე არიან და შტაბბინები ერთ ქალაქში სულაც არა აქვთ“.

„ამ ახალ რეალობაში ჩვენი მოქალაქეები ითხოვენ უფრო მეტ უსაფრთხოებას. არა აქვს მნიშვნელობა, ისინი ცხოვრობენ ნატოს, ევროკავშირის თუ ორივე ორგანიზაციის წევრ ქვეყანაში. ჩვენი, როგორც ლიდერების დემოკრატიული პასუხისმგებლობაა, უზრუნველვყოთ უსაფრთხოება, რათა დარწმუნდნენ, რომ ევროპას შეუძლია და უნდა გააკეთოს მეტი თავდაცვისუნარიანობის გასაძლიერებლად. ჩვენი ევროპული ინიციატივები არ უნდა წარმოადგენდეს ნატოსთან თანამშრომლობის ალტერნატივას. ჩვენ უნდა გავზარდოთ ჩვენი, როგორც ნატოს მეგობრის ღირებულება. სწორედ ამიტომ მოვუწოდებთ დღეს ევროკავშირსა და ჩრდილოატლანტიკურ ალიანსს შორის სტრატეგიული პარტნიორობის გაღრმავებისკენ. იმის მიუხედავად, რომ ჩვენი შიდა და საგარეო უსაფრთხოება მჭიდროდ არის დაკავშირებული ერთმანეთთან, ზოგჯერ გვეჩვენება, თითქოს ევროკავშირი და ნატო სხვადასხვა პლანეტაზე არიან და შტაბბინები ერთ ქალაქში სულაც არა აქვთ“, – აღნიშნა დონალდ ტუსკმა.

მისივე თქმით, ნატოსა და ევროკავშირს აქვთ საკუთარი წესები და პროცედურები, სხვა მხრივ, ისინი ორმხრივად ძლიერდებიან და უფრო მჭიდროდ უკავშირდებიან ერთმანეთს. დონალდ ტუსკის თქმით, ერთობლივი საფრთხეების გარდა, ნატოსა და ევროკავშირს ერთნაირი ღირებულებები აკავშირებთ, ამიტომ ამ ორი ორგანიზაციის თანაშრომლობა არის სტრატეგიული.

ნატოს გენერალურმა მდივანმა, ევროკავშირის საბჭოს პრეზიდენტმა და ევროკომისიის პრეზიდენტმა თანამშრომლობის შესახებ ერთობლივ დეკლარაციას მოაწერეს ხელი.

საპარლამენტო პარტიების ერთობლივი მიმართვა ვარშავის სამიტისადმი

აშშ-ის სენატი ალიანსს საქართველოს მხარდაჭერისკენ მოუწოდებს 2

ნატოს კარი ღიაა, მაგრამ... როდემდე?!

გიორგი თავდგირიძე:

აშშ მიიღებს უფლებას, საქართველოს გარკვეული ტიპის შეიარაღებას აჩუქოს ან შეღავათიან ფასად მიაწოდოს 3

ხუხაშვილის გახუხული იუდას ამბორი

ამ ძალად თავგაექსპერტებულ ხუხაშვილს, რომელმაც გულთმისნობასა და ნათელმხილველობაში ბევრად უკან ჩამოიტოვა ვანგაც, კაკულიაც, ცაგარელიც და თვით მესინგიც კი, გუშინ „ოცნების“ ნოყიერი ძუძუ ედო პირში და ივანიშვილს საქართველოს ერთადერთ მხსნელად სახავდა, დღეს, როგორც ჩანს, ოცდაათ ვერცხლს ორჯერ ან სამჯერ მეტი არჩია და სიცრუის ქადაგებაში თვით „ცრურუსთავ-2“-საც კი გადაუჯოკრა და აქუბარდია-ჯანგირაშვილის „კავკასიის“ ტალღაზე შემდგარი უიმედობის, გულგატეხილობის და „ოცნების“ ყოველმხრივ გაბითურების უშვერ პროპაგანდას ეწევა. ის კი არა, გულუბრყვილო ამომრჩეველს თავგადაკლული არწმუნებს, რომ „ოცნება“ მაზოხისტური პარტია გახდა, რომელიც დამნაშავე ნაციონალებთან ბინძურ გარიგებაშია!



დემონსტრაციის სადარაჯოზე!..

ერთი სიტყვით, ეს ნათელმხილველი თუ, უფრო სწორად, ბნელმხილველი ხუხაანთ ბიჭი ყოველდღიურად იუდას ვაიექსპერტულად გახუხულ ამბორს გვიგზავნის ხან რომელი არხიდან და ხან რომელი არხიდან, უფრო მეტად კი აქუს ცრემლად თოვლჩამომდინარი „კავკასიიდან“.

ეჰ, ხუხა, ხუხა, ამაოდ წუხხარ!

ოცდაათ ვერცხლზე გულმწყრალად ნუ ხარ!!

რითი ვერ გაძღა შენი მუცელი?!.

ისახება დიდი ისტორიული შესაძლებლობა...

„ქრისტიანობის სჯულის კანონის თანახმად, იერუსალიმის ქართველთა ჯვრის მონასტერსა და სხვა სამლოცველოებში აღდგეს ქართული წირვა-ლოცვა!“ 6

ოცნება ბარსელონაში ასრულდა

ლევან სუჯაშვილი



10

საპარლამენტო პარტიების ერთობლივი მიმართვა ვარშავის სამიტისადმი

საქართველოს **პრემიერ-მინისტრი გიორგი კვირიკაშვილი ხელს აწერს ვარშავის სამიტისადმი საქართველოს საპარლამენტო პარტიების ერთობლივ მიმართვას, რომელშიც პოლიტიკური პარტიები ადასტურებენ, რომ ღრმა პოლიტიკური განსხვავებებისა და დაპირისპირების მიუხედავად, პოლიტიკური სპექტრი საქართველოს ევროატლანტიკური ინტეგრაციის მხარდასაჭერად ერთიანდება.**

პარტიები თხოვნით მიმართავენ ნატოს წევრ ქვეყნებს, მხარი დაუჭიროს და წაახალისოს საქართველოს სწრაფვა ალიანსის წევრობისკენ, — იტყობინება საქართველოს მთავრობის პრესსამსახური.

„ამ დოკუმენტის ხელმომწერ საქართველოს პოლიტიკურ საპარლამენტო პარტიებს წარსულიდან მოყოლებული აქვთ არსებითი საშინაო პოლიტიკური უთანხმოება. თუმცა ჩვენ ერთიანი ვართ ერთ პრინციპთან დაკავშირებით: საქართველო არის სუვერენული და დამოუკიდებელი სახელმწიფო და ქართველ ხალხს აქვს გადაწყვეტილი, ააშენოს ევროპული დემოკრატია, რომელიც პატივს სცემს თავისუფლებას, ეკონომიკურ შესაძლებლობებს, უსაფრთხოებას და მიისწრაფვის ევროატლანტიკურ ინსტიტუტებში სრული ინტეგრაციისკენ. საქართველოს სურს, შეასრულოს მნიშვნელოვანი როლი ევროატლანტიკური საზოგადოების კოლექტიურ უსაფრთხოებაში, დემოკრატიასა და კეთილდღეობაში. ჩვენ ვაღიარებთ საქართველოს წინაშე რეგიონში არსებულ განსაკუთრებულ გამოწვევებს. ჩვენი ქვეყანა ნაწილობრივ ოკუპირებულია რუსეთის მიერ, რომელმაც მის მიერ კონტროლირებადი რეგიონები დამოუკიდებელ სახელმწიფოებად აღიარა.

საქართველოში 25 წლის განმავლობაში რუსეთის აგრესიისა და 2008 წელს მისი ინტერვენციის შედეგად ასობით ათასი იძულებით გადაადგილებული პირი გვყავს. ჩვენ ვიმყოფებით რეგიონში, რომელიც მოცულია ტერიტორიული დავებით და გეოგრაფიულად ახლოს მდებარეობს მიმდინარე შეიარაღებულ კონფლიქტებთან. თუმცა ჩვენი მდებარეობა ასევე მნიშვნელოვანია როგორც დასავლეთისა და აღმოსავლეთის დამაკავშირებელი ლოჯისტიკური და ენერგეტიკული დერეფანი. ჩვენ ვერ ვაკონტროლებთ ჩვენი მეზობლების ქმედებებს და არ უნდა ვიყოთ მათი ქმედებების მძევლები. როგორც საქართველოს მოქალაქეები, ჩვენ მხარს ვუჭერთ კეთილმეზობლური ურთიერთობების, თავისუფალი და ღია ვაჭრობის, დიალოგისა და დავების მშვიდობიანი გზით გადაწყვეტის პრინციპებს. თუმცა ჩვენ ასევე მზად ვართ, დავიცვათ საქართველოს სუვერენიტეტი და ტერიტორიული მთლიანობა. ჩვენ მივისწრაფვით ევროატლანტიკურ საზოგადოებაში ჩვენი პარტნიორების მხრიდან საქართველოს ევროკავშირში, ნატო-სა და სხვა ევროატლანტიკურ ინსტიტუტებში სრული ინტეგრაციისადმი სრული მხარდაჭერისკენ“, — ნათქვამია დეკლარაციაში.

დოკუმენტს ხელს აწერენ საქართველოს პრემიერ-მინისტრი გიორგი კვირიკაშვილი, პრეზიდენტი გიორგი მარგველაშვილი, პარლამენტის თავმჯდომარე დავით უსუფაშვილი, „ქართული ოცნება“, „რესპუბლიკელები“, „კონსერვატორები“, „ეროვნული ფორუმი“, „თავისუფალი დემოკრატები“ და „ნაციონალური მოძრაობა“.

ნატოს კარი ღიაა, მაგრამ... როდემდე?!

ნატოს **ვარშავის სამიტზე კიდევ ერთხელ მოხდება იმის დემონსტრირება, რომ ნატოს კარი ღიაა,** — განაცხადა ალიანსის გენერალურმა მდივანმა იენს სტოლტენბერგმა ვარშავის საექსპერტო ფორუმზე სიტყვით გამოსვლისას.

„სამიტზე კიდევ ერთხელ მოხდება იმის დემონსტრირება, რომ ნატოს კარი ღიაა. ჩვენ საქართველოსთან და უკრაინასთან ვმუშაობთ როგორც ახლო პარტნიორებთან. მხარს ვუჭერთ მათ რეფორმებს ნატოს სტანდარტების მისაღწევად. არსებითი პაკეტი და ნატო-საქართველოს ერთობლივი საწვრთნელი ცენტრი მნიშვნელოვანი სიგნალია ნატოს მხარდაჭერისა და საქართველოსთვის. ჩვენ საქართველოს პროგრესს მივესალმებით“, — განაცხადა იენს სტოლტენბერგმა.

◎ ევროინტეგრაცია

გადაწყვეტილება ვიზალიბერალიზაციასთან დაკავშირებით მიღებულია

„ევროკავშირმა საქართველოს, უკრაინისა და კოსოვოს მოქალაქეებს უვიზო რეჟიმი უნდა დაუწესოს“, — ასეთია ინფორმაცია, რომელიც ევროპარლამენტის ოფიციალურ ვებგვერდზე გამოქვეყნდა. განცხადებაში აღნიშნულია, რომ სამივე ქვეყანამ ვიზალიბერალიზაციის მისაღებად აუცილებელი პირობების შესრულების გზაზე მნიშვნელოვან პროგრესს მიაღწია. კენჭისყრაში, რომელიც საგარეო საქმეთა კომიტეტში გაიმართა, საქართველოსთვის ვიზალიბერალიზაციის დაწესებას 43-მა დეპუტატმა დაუჭირა მხარი, 5 წინააღმდეგი იყო, 3-მა თავი შეიკავა.

კენჭისყრამდე ევროპარლამენტის საგარეო საქმეთა კომიტეტი გადაუგზავნის სამოქალაქო თავისუფლებათა კომიტეტს საკუთარ დასკვნებს საქართველოსთვის უვიზო რეჟიმის შემოღების თაობაზე. 14 ივლისს კი არის ბოლო ვადა, რომლის განმავლობაშიც პოლიტიკური ჯგუფების წარმომადგენლებს შეუძლიათ შეიტანონ თავიანთი შესწორებები, თუ აქვთ მოხსენებაში, რომელიც LIBE-ს მომხსენებელმა გააკეთა და ამის შემდეგ LIBE-ს კომიტეტი უყრის კენჭს მოხსენებას.

„ევროკავშირსა და საქართველოს შორის უვიზო რეჟიმის დაწესება იქნება ძალიან მნიშვნელოვანი სიგნალი საქართველოს მოქალაქეებისთვის. საქართველოს მთავრობამ და საზოგადოებამ უდიდესი სამუშაო შეასრულეს და ახლა შედეგები უნდა დაინახონ. ვუსურვებ ქართველ ხალხს შემდგომ პროგრესს ევროინტეგრაციის გზაზე“, — განაცხადა საქართველოს საკითხზე მომხსენებელმა **ანდრეს მამიკინსმა.**

მისივე თქმით, სავიზო რეჟიმის გაუქმება გაზრდის საქართველოს მიმზიდველობას მისი ოკუპირებული რეგიონების — აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის მოსახლეობისთვის.

„ვიზალიბერალიზაცია დიდ სარგებელს მოუტანს საქართველოს მოქალაქეებს და ჩვენ ვაფასებთ მას იმის გამო, თუ რამდენად გაზრდის ის ადამიანებს შორის კონტაქტის პოტენციალს, მათ შორის სტუდენტებს, აკადემიკოსებს, მასწავლებლებსა და ბიზნესმენებს შორის. სავიზო რეჟიმის გაუქმება გაზრდის საქართველოს მიმზიდველობას მისი ოკუპირებული რეგიონების — აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის მოსახლეობისთვის, რაც ხელს შეუწყობს ამ კონფლიქტების მშვიდობიან მოწესრიგებას“, — განაცხადა **ანდრეს მამიკინსმა.**

მაშ ასე, სკეპტიკოსთა განცხადებების მიუხედავად, ვიზალიბერალიზაციასთან დაკავშირებით გადაწყვეტილება მიღებულია, რაც პროცედურულად სწრაფი ტემპით ფორმდება. ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრი **დავით ბაქრაძე** ამბობს, რომ 4 ივლისს, ევროპარლამენტის სამოქალაქო თავისუფლებათა, მართლმსაჯულებისა და შინაგან საქმეთა კომიტეტმა (LIBE) ძალიან მაღალი შეფასება მისცა ანგარიშს საქართველოსთვის ვიზალიბერალიზაციის მინიჭების თაობაზე.

„ეს მნიშვნელოვანია, რადგან სწორედ ეს კომიტეტი არის წარმდგენი აღნიშნული საკითხის პლენარულ სხდომაზე. LIBE-ს **მომავალ სხდომაზე უკვე კენჭი ეყრება ამ საკითხს, მას შემდეგ რაც შეგროვდება შენიშვნები, თუმცა ჩვენი ინფორმაციით, ამ საკითხთან დაკავშირებით ყველა პარტია, ყველა წარმომადგენელი, თანხმდება.**

მნიშვნელოვანია და დღეს უკვე ყველასთვის ნათელია, რომ გადაწყვეტილება ვიზალიბერალიზაციასთან დაკავშირებით მიღებულია. ამ საკითხს სჭირდება შესაბამისი პროცედურული გაფორმება, რაც შესაბამის სტრუქტურებში ძალიან სწრაფი ტემპებით მიმდინარეობს“, — განაცხადა **დავით ბაქრაძემ.**

for.ge-სთან საუბრისას ჯიპას პროფესორის **ბაკურ კვაშილავას** განცხადებით, მოსალოდნელიც იყო, რომ ევროპარლამენტი ასეთ გადაწყვეტილებას მიიღებდა. ახლა მთავარია, საბოლოო გადაწყვეტილება სექტემბერში იქნას მიღებული.

„ვიზალიბერალიზაციის პროცესი არის ერთი გამოხატულება იმ დემოკრატიული რეფორმებისა, რომელიც საქართველოში მიდის. რა თქმა უნდა, არ უნდა მოგვწონდეს ჩვენი დემოკრატია, იმიტომ, რომ სრულყოფილი არ არის, მუდმივად უნდა ვეცადოთ მეტი დემოკრატია იყოს, მაგრამ ფაქტია, რომ ჩვენ გაცილებით დემოკრატიულ და თავისუფალ ქვეყანაში ვცხოვრობთ, ვიდრე დე ფაქტო ხელისუფლების პირობებში ცხოვრობენ ჩვენი მოქალაქეები. ეს არის ძირითადი არსი, რამაც შეიძლება, საბოლოო ჯამში, გამოიწვიოს დაახლოება. მეორე მხრივ, როგორც ხედავთ, დიქტატურის ქვეშ ცხოვრობს რუსეთში მოსახლეობა და ძალიანაც კმაყოფილი არიან“, — აცხადებს კვაშილავა.

რაც შეეხება ანდრეს მამიკინსის განცხადებას, რომ სავიზო რეჟიმის გაუქმება გაზრდის საქართველოს მიმზიდველობას მისი ოკუპირებული რეგიონების — აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის მოსახლეობისთვის, კვაშილავა ამბობს, რომ ეს გრძელვადიან ასპექტში არის უფრო მნიშვნელოვანი, ვიდრე მოკლევადიანში.

„მოგეხსენებათ, ეს რეგიონები აბსოლუტურ იზოლაციაში არიან, როგორც თავიანთი მთავრობების, ასევე საერთაშორისო საზოგადოებისა და რუსეთის მხრიდან. თუ რას ნიშნავს უვიზო მიმოსვლა, ამ ინფორმაციის ასე მიღება ცოტა გართულებული იქნება მათთვის. მოგეხსენებათ, რომ ორივე რეჟიმმა იმდენად გაამკაცრა საკუთარი მოქალაქეების თვალთვალი, რომ ისჯებიან ის ადამიანები, ვინც შემჩნეულია საქართველოსთან კავშირში და ეს მიმართულება ახლა უფრო იზღუდება, ვიდრე ადრე.

აქედან გამომდინარე, შეიძლება, ეს პირდაპირ არ შეეხოთ მათ და ასე პირდაპირ ადვილად ვერ გამოიყენონ უვიზო მიმოსვლა, იმის მიუხედავად, რომ ე.წ. ნაცრისფერი პასპორტების გამოყენების საშუალებაც კი აქვთ, რომელიც პირდაპირ არ ამბობს, რომ ისინი საქართველოს მოქალაქეები არიან, თუმცა არც უარყოფს ამას. აქედან გამომდინარე, ძნელი იქნება უშუალოდ შედეგები დავინახოთ უახლოეს პერიოდში. მაგრამ, ზოგადად, ეს პოზიტიური სტიმული იქნება მათთვის, რომ საქართველოსთან ეძებონ უფრო მეტი კავშირები“, — აღნიშნა **ბაკურ კვაშილავამ.**

თამთა ძარჩავა

აშშ-ის სენატი ალიანსს საქართველოს მხარდაჭერისკენ მოუწოდებს

აშშ-ის **სენატმა მიიღო ნატოს შესახებ რეზოლუცია (S.Res. 506), რომელიც ა.წ. 8-9 ივლისს დაგეგმილ ნატოს ვარშავის სამიტს და აშშ-ის მხრიდან ალიანსის შემდგომ მხარდაჭერას ეხება.**

საქართველოს საგარეო უწყების ცნობით, სენატის მიერ მიღებულ რეზოლუციაში აღიარებულია **„საერთაშორისო ოპერაციებში საქართველოს შეიარაღებული ძალების კონტრიბუცია, თავდაცვის სფეროს დაფინანსებისთვის მობილიზებული მნიშვნელოვანი რესურსები, და ასევე საქართველოს ნატო-ში გასაწევრიანებლად დემოკრატიული და სამხედრო ინსტიტუტების გაძლიერებისკენ მიმართული ძალისხმევა“.**

რეზოლუციაში ხაზგასმულია „ნატო-საქართველოს არსებით ღონისძიებათა პაკეტის“ მნიშვნელობა ქვეყნის მდგრადობისა და თავდაცვითი შესაძლებლობების განვითარების კუთხით. ასევე აღნიშნულია ნატო-საქართველოს „ერთობლივი წვრთნისა და შეფასების ცენტრის“ როლი საქართველოსა და ალიანსის წევრებს შორის უსაფრთხოების სფეროში თანამშრომლობის გაღრმავების საქმეში.

რეზოლუციაში ასევე საუბარია საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე და აღნიშნულია, რომ უკრაინაში 2014 წელს რუსეთის ფედერაციის შეჭრის შედეგად რუსეთის მიერ საქართველოს აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის რეგიონების უკანონოდ კონტროლირებულ ტერიტორიებს ყირიმიც დაემატა.

რეზოლუცია მხარს უჭერს ნატო-ს ძალისხმევას, რომელიც ალიანსის წინაშე არსებული საფრთხეების დაძლევისკენ არის მიმართული და მოუწოდებს ალიანსის წევრებს ნატო-ს ვარშავის სამიტზე ერთობის და სოლიდარობის გაძლიერებისა და უსაფრთხოების უზრუნველყოფისაკენ.

აშშ-ის სენატის მიერ აღნიშნული რეზოლუციის მიღება და მასში საქართველოს მხარდამჭერი დებულებების ასახვა ნათლად ადასტურებს აშშ-ის კონგრესის ზედა პალატის ორპარტიულ მხარდაჭერას საქართველოს სუვერენიტეტის, ტერიტორიული მთლიანობისა და ნატო-ში ინტეგრაციის მიმართ, ისევე როგორც ბოლო პერიოდში განხორციელებული დემოკრატიული რეფორმების აღიარებას.

ნატოში ჩვენზე ადრე ჩვენი ღვინო შევიდა

საგარეო **საქმეთა სამინისტროს ინიციატივით ღვინო სპეციალურად ვარშავის სამიტისთვის ჩამოისხა. ასევე ქართული ღვინით გაუმასპინძლდება საკუთარ კოლეგებს პოლონეთის თავდაცვის მინისტრი სამიტის ფარგლებში დაგეგმილ საპატიო ვახშამზე.**

ქართული ღვინო საჩუქრად გადაეცემათ ნატო-საქართველოს კომისიის სხდომის მონაწილე ალიანსის წევრი ქვეყნების საგარეო საქმეთა მინისტრებს. ღვინოს ეტიკეტზე სამიტის ლოგო აქვს დართული და ასევე მითითებულია, რომ სასმელი სპეციალურად ვარშავის სამიტისთვის დამზადდა.

აშშ მიიღებს უფლებას, საქართველოს გარკვეული ტიპის შეიარაღება აჩუქოს ან შეღავათიან ფასად მიაწოდოს

რას მოიცავს საქართველოსა და ამერიკის შეერთებულ შტატებს შორის თავდაცვისა და უსაფრთხოების სფეროში პარტნიორობის გაღრმავების შესახებ გაფორმებული მემორანდუმი, რომელიც საქართველოს თავდაცვის მინისტრმა „ერთ-ერთ ისტორიულ დღედ“ შეაფასა. თავდაცვის მინისტრის მრჩეველი გიორგი თავდგირიძე განმარტავს:

გიორგი თავდგირიძე: დეტალებზე თავდაცვის მინისტრი გააკეთებს განცხადებას. მე მხოლოდ ის შემიძლია, განვმარტო, რომ, პირველ რიგში, ეს მემორანდუმი თანამშრომლობის ჩარჩოებს იძლევა: ერთის მხრივ, ქართული მხარის მზაობას, მიიღოს დახმარება სტრატეგიული თანამშრომლობის ფარგლებში და მეორეს მხრივ, ამერიკის შეერთებული შტატების მზაობას, გვერდში დაუდგეს საქართველოს და დაეხმაროს მისი შეიარაღებული ძალების შესაძლებლობების გაზრდაში.

აქ არის რამდენიმე მნიშვნელოვანი ელემენტი, მათ შორის ის, რომ მემორანდუმის ფარგლებში აშშ მიიღებს უფლებას, გარკვეული ტიპის შეიარაღება საქართველოს აჩუქოს ან შეღავათიან ფასებში მიაწოდოს. ეს გარკვეულწილად ლავირების საშუალებას იძლევა, მოქნილს ხდის სტრატეგიულ პარტნიორობას. ბუნებრივია, ძალიან მნიშვნელოვანია, რომ საქართველოს ყოველგვარი შუამავლის გარეშე შეუძლია მწარმოებელი ქვეყნისგან გარკვეული ტიპის იარაღის შესყიდვა. შეიძლება, ხმამაღალი განცხადება გამომივიდეს, მაგრამ გარკვეულწილად ამას გულისხმობს მემორანდუმი.

ამასთან, ამერიკის შეერთებული შტატები კვლავ გაგრძელებს ქართული შეიარაღებული ძალების ქვედანაყოფების წვრთნას და გარკვეულ კონდიციამდე მიყვანას. ესეც ძალიან მნიშვნელოვანია, რადგან ქართველი ოფიცრები ძალიან კარგად არიან მომზადებულები. ეს პროცესი პროგრამის ფარგლებში ხორციელდება, პრიორიტიზებულია და ცალსახად მაღალი შედეგი იქნება მიღწეული. ჩვენ მივიღებთ ქვედანაყოფებს, რომელთა საბრძოლო უნარები უმაღლეს სტანდარტებამდე იქნება მიყვანილი.

გარდა ამ მასშტაბური საკითხებისა, არსებობს კიდევ უამრავი ნიუანსი, როგორიც არის სასწავლო პროგრამები. ყოველივე ეს მოითხოვს გარკვეულ ფინანსებს. ამასთან, იქნება ერთობლივი ქართულ-ამერიკული სწავლებები არა მხოლოდ პოლიგონზე, არამედ სიმულაციები, საწვრთნელ ვარჯიშებში ქართველი ოფიცრების ჩართვა. ეს მემორანდუმი ამის შესაძლებლობას იძლევა.

ის, რომ ორმა სახელმწიფომ უმაღლეს დონეზე ამის დეკლარირება მოახდინა, უშუალოდ სამხედროებს აძლევს საშუალებას, ნიუანსებზე ისაუბრონ, ყოველწლიურ პროგრამებზე.

ჯამში ეს იმას ნიშნავს, რომ სტრატეგიული თანამშრომლობის ფარგლებში ურთიერთობა კიდევ უფრო გაღრმავდა.

— მემორანდუმის იარაღთან დაკავშირებული ნაწილი განმარტეთ, მაგრამ სწავლებები სოლიდურ დაფინანსებას მოითხოვს და უზრუნველყოფა ამერიკული მხარის მიერ არის დაგეგმილი?

— ამერიკის ბიუჯეტში მიზნობრიობიდან გამომდინარე, ყოველწლიურად გარკვეული თანხა მტკიცდება და დაფინანსება ამ თანხების ფარგლებში განხორციელდება. გარკვეულ ნაწილში ჩვენც გავწევთ ხარჯებს. მაგალითად, არის იარაღის ტიპები, რომელიც ჩვენ შეიძლება, არავინ გვაჩუქოს, მაგრამ გვჭირდებოდეს და ვიყიდოთ. როდესაც ამ იარაღს კომერციულ ბაზარზე ყიდულობ, სხვა ფასი აქვს, ხოლო როდესაც უშუალოდ მწარმოებელთან — სხვა. ყველაფერს უფასოდ ვერ მივიღებთ, მაგრამ გვექნება შესაძლებლობა, მაღალხარისხიანი ტექნოლოგიები, მომსახურება თუ იარაღი მივიღოთ.

რომ შევაჯამოთ, რაც მოხდა, ძალიან მნიშვნელოვანი თემაა. ეს არის სამოქმედო ჩარჩო. ამერიკა პარტნიორებს არ ტოვებს, მან იცის პარტნიორობის დაფასება და ეს მემორანდუმიც ამ დაფასების ნათელი მაგალითია.

ჩვენ შეიძლება, დღეს ომი არ გვქონდეს და ამ ომს არ ველოდებოდეთ (ვაკეთებ ლოგიკურ დაშვებას და არა ვითარების შეფასებას), მაგრამ შეიარაღებულმა ძალებმა რაღაც სიმაღლეს უნდა მიაღწიოს. ერთია კონკრეტული გამოწვევა და მეორე — შეიარაღებული ძალების შესაძლებლობები და უნარი. აი ამ შესაძლებლობების გასაზრდელად, გამომდინარე გამოწვევებიდან და გეგმებიდან, ჩვენ გვექნება ყოველმხრივი დახმარება.

ამ წვრთნების პირობებში, გარდა იმისა, რომ ჩვენი სამხედრო მოსამსახურეები თანამედროვე სტანდარტებს ეცნობიან, მათ ალბათ, შეხება ექნებათ თანამედროვე იარაღთან...

— თანამედროვე იარაღთან ჩვენს სამხედროებს ყოველდღიურად აქვთ შეხება, იგივე ISAF-ის მისიის ფარგლებში...

— ჩვენც გვაქვს გარკვეული ტექნოლოგიები, ყოველ შემთხვევაში, ქვედანაყოფების დონეზე ჩამორჩენილები არ ვართ, მაგრამ ბრძოლის თანამედროვე ხერხები, ილეთები, სტრუქტურირება, ახალი ტაქტიკური ხერხები პრაქტიკაში იქნება ათვისებული და, რა თქმა უნდა, წვრთნების შემდეგ გაიზრდება იმ შეიარაღების გამოყენების ეფექტიანობა, რომელიც ნატოს ქვეყნებს გააჩნიათ. ეს იქნება კონვეიერული სისტემა — ქვედანაყოფი, რომელიც გაიწვრთნება, წვრთნების დასრულების შემდეგ შეიარაღებულ ძალებს ეყოლება, როგორც ბრძოლის წარმოების თანამედროვე შეიარაღებით, ასევე ილეთებითა და ხერხებით აღჭურვილი უკვე დასრულებული, ასე ვთქვათ, პროდუქტი.

— ნატოსთან მიმართებაში საქართველოს მოლოდინებზე დასმული კითხვის საპასუხოდ ბატონმა ქერიმ აღნიშნა, რომ აშშ მხარს უჭერს ნატოს ღია კარის პოლიტიკას და ბუქარესტის სამიტზე გაკეთებულ განცხადებას, რომ საქართველო აუცილებლად გახდება ნატოს წევრი. შემდეგ ასეთი ფრაზა თქვა: „იყო გარკვეული მიზეზები, რამაც პროცესი შეანელა. ყველას კარგად ესმის, რომ ძალზე სერიოზული პროცესები მიმდინარეობს უკრაინის და სირიის თვალსაზრისით. მთელი რიგი გამოწვევების წინაშე ვდგავართ და ზოგიერთმა სახელმწიფომ პროგრესი დაუკავშირა ამ პროცესებს...“. იქნებ განვუმარტოთ მოსახლეობას, რა იგულისხმა მან ამ განცხადებაში...

— გულწრფელად რომ გითხრათ, მე მიჭირს განმარტების გაკეთება, რადგან ნატოს მიმართულებით პოლიტიკური განმარტებები — ეს მინისტრის ძლიერი მხარეა, მას გაცილებით უკეთ ესმის ეს პროცესები და მისი განმარტება გაცილებით საინტერესო იქნებოდა.

მე უსაფრთხოების რაკურსში შემიძლია, ვთქვა: მოწვევიდან წევრობის იურიდიულ გაფორმებამდე არის გარკვეული მონაკვეთი და პოლიტიკური კონსენსუსი წინასწარ არის მოსაპოვებელი, რომ თუ ამ მონაკვეთზე საქართველოს წინაშე გარკვეული ხიფათები წარმოიშვება, ნატოს ქვეყნებმა ადეკვატურად იმოქმედონ და თუ საჭირო გახდება, საქართველოს სამხედრო დახმარებაც აღმოუჩინონ. როდესაც დგებმა მომენტი, დარწმუნებული ვარ, რომ საქართველოს ნატოში გაწევრიანების პროცესიც დაიწყება.

ახალი ამბების სააგენტო „აქცენტი“

აფხაზეთიდან ტურისტები გარბიან

ბოლო დღეებში სოხუმში განვითარებული მოვლენების გამო, აფხაზეთს ტურისტები მასობრივად ტოვებენ. სეპარატისტულ რეგიონში უსაფრთხოების გარანტიას ისედაც არავინ იძლეოდა და პოლიტიკური დაძაბულობის ფონზე ტურისტები საერთოდ დაუცველად გრძნობენ თავს.

რუსული სააგენტოები აფხაზეთის კურორტებისა და ტურიზმის დე ფაქტო მინისტრ ავთანდილ გარცკიაზე დაყრდნობით იუწყებიან, რომ 5 ივლისს სოხუმში მომხდარი არეულობის გამო, ბევრ სასტუმროში ტურისტები ჩემოდნებს ალაგებენ და აფხაზეთს ტოვებენ.

ე.წ. მინისტრი ირწმუნება, რომ აფხაზეთში განვითარებული მოვლენები ტურისტებისთვის საფრთხის შემცველი არ არის. მისი თქმით, ტურისტული სეზონი ადგილობრივებისთვის შემოსავლის ერთადერთი წყაროა.

5 ივლისს ოპოზიციის წარმომადგენლებმა, რომლებიც შინაგან საქმეთა დე ფაქტო მინისტრის ლეონიდ ძაპშბას გადადგომას მოითხოდნენ, უწყებაზე შტურმი განახორციელეს, რის შემდეგაც სამინისტროს შენობას ცეცხლი წაუკიდეს.

აქციის მონაწილეებმა თვითგამოცხადებული რესპუბლიკის ე.წ. პრეზიდენტის ადმინისტრაციის შენობიდან დე ფაქტო სამინისტროს შენობასთან გადაინაცვლეს, პოლიციას ქვები დაუშინეს და ძალის გამოყენებით სამინისტროს ჭიშკარი ჩამოგლიჯეს. საპროტესტო აქციის მონაწილეები და ოპოზიციური პარტია „ამცახარას“ წარმომადგენლები თვითგამოცხადებულ პრეზიდენტ რაულ ხაჯიმბას შს მინისტრ ლეონიდ ძაპშბას გადაყენებას და რეფერენდუმის შემოდგომაზე ჩატარებას სთხოვენ.

ხაჯიმბა სამინისტროსთან შეკრებილ მომიტინგეებთან მივიდა. მისი განცხადებით, ის კანონს ვერ დაარღვევს და რეფერენდუმს შემოდგომაზე ვერ გადაიტანს.

პოლიტიკური დაძაბულობის ფონზე აფხაზეთში ტურისტული სეზონი ჩავარდნის პირასაა. განსაკუთრებით საშიში ვითარებაა სოხუმში, სადაც პოლიტიკური ვნებათაღელვა პიკს აღწევს. არადა წელს სეპარატისტები ტურიზმზე დიდ იმედებს ამყარებდნენ.

მართალია, აფხაზეთში არც ინფრასტრუქტურაა მოწესრიგებული და არც მომსახურება ვარგა, მაგრამ რუსეთ-თურქეთის კრიზისის გამო რუსი ტურისტების ნაწილმა სეპარატისტული რესპუბლიკისკენ აიღო გეზი. რამდენიმე დღის წინათ მოსკოვმა და ანკარამ წინასწარ შეთანხმებას მიაღწიეს და რუსებსაც თურქეთისკენ გზა გაეხსნათ. ამიტომ გაცილებით დაბალი დონის აფხაზური კურორტები დამსვენებლებისგან თვალშისაცემად შეთხელდება.

პარტია „ევროპელი დემოკრატების“ ლიდერის პაატა დავითაიას თქმით, რუსი ტურისტები აფხაზური სერვისებით უკმაყოფილონი არიან.

„ტურისტები, რომლებიც აფხაზეთში ჩადიან, არიან მცირებიუჯეტიანი ტურისტები. უფრო მეტად ეს არის სამხედროების ოჯახის წევრები ან საგარეო საქმეთა სამინისტროს დაბალი რგოლის მუშაკები. სხვა იქ არავინ არ ჩადის იმიტომ, რომ ხშირია ტურისტების ძარცვა, შეურაცხყოფა და საერთოდ, აფხაზეთში სერვისი ნულის ტოლია“, — ამბობს დავითაია.

ლოგიკურად, წელს აფხაზეთს ბევრი რუსი ტურისტი უნდა სტუმრობდეს, თუმცა, ასე არ მოხდა, რადგან რუსებს კარგი მომსახურება უნდათ, აფხაზები კი ამ სერვისზე უარს ამბობენ.

თუკი სოხუმში ვითარება კიდევ უფრო დაიძაბება, სამწუხაროდ, აფხაზეთს ტურისტები აღარ გაეკარებიან.

გეძა დანელია

არსებობს ჯგუფი, რომელიც ცდილობს, ქვეყნის სასამართლო ხელისუფლების სადავეები მოიგდოს ხელში

იუსტიციის **უმაღლესი საბჭოს მდივანი ლევან მურუსიძე პრეზიდენტის საპარლამენტო მდივანს პასუხობს. როგორც მურუსიძე ამბობს, სასამართლო ხელისუფლებას გარკვეული ჯგუფები მიზანმიმართულად ებრძვიან.**

იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მდივანი ანა დოლიძისგან ითხოვს იმ მოსამართლეების დასახელებას, ვინც შესაძლოა, არ იყოს მოსამართლის მანტიის ტარების ღირსი. ლევან მურუსიძე არასამთავრობო ორგანიზაციებს მოუწოდებს, დაესწრონ მოსამართლეობის კანდიდატებთან გასაუბრებას, რათა შემდგომ კითხვები აღარ გაუჩნდეთ.

„არსებობს ჯგუფი ქვეყანაში, რომელიც ცდილობს, რომ სასამართლო ხელისუფლების სადავეები მოიგდოს ხელში და მანამადე არ გაჩერდებიან. მესამე ტალღა პრობლემა არ არის, პირდაპირ გეტყვით. მივესალმები, რომ რაც შეიძლება მეტი რეფორმა გატარდეს სასამართლო ხელისუფლების განვითარების კუთხით, მაგრამ გარწმუნებთ, რომ არ იქნება გაჩერება.

როდესაც მიდის საუბარი იმაზე და მით უმეტეს, უზენაესი სასამართლოს მოსამართლეების კანდიდატი იყო ანა დოლიძე და ის აცხადებს, რომ არ არიან ღირსი გარკვეული პირები, ეცვათ მანტია, მაშინ მოვითხოვ, რომ დაასახელონ ეს პირები და შესაბამისად, არგუმენტიც მოიყვანონ, თუ რატომ არ არიან ღირსები. ამით აყენებენ შეურაცხყოფას იმ 131 კანდიდატს, მათ შორის მოქმედი მოსამართლეებიც ბევრნი არიან, რომლებიც გამოდიან. არ შეიძლება ასე უაპელაციოდ საუბარი“, — განუცხადა ჟურნალისტებს ლევან მურუსიძემ.

◎ ხმებზე მონადირენი

არჩევნებამდე საპენსიო მარათონი გამოცხადდა

ივლისიდან პენსიები გაიზარდა. ლარის დევალვაციისა და ფასების ზრდის ფონზე, 20-ლარიანი მატება მოსახლეობისთვის ვერაფერი შელავათი აღმოჩნდა. მთავრობის ნაბიჯმა მოწონება ვერ დაიმსახურა ვერც სპეციალისტებში და, რა თქმა უნდა, ვერც პოლიტიკურ ოპონენტებში.

ექსპერტები აცხადებენ, რომ პენსიის 20 ლარით მომატება ხანდაზმული ადამიანებს სოციალურ მდგომარეობას ვერ გაუუმჯობესებს. სოსო ცისკარიშვილი ამბობს, რომ გაზრდილი პენსია დღეში ერთი ლარიც არ გამოდის. შესაბამისად, პენსიის მომატება კარგი მოსასმენია, თუმცა ასაკოვანი მოსახლეობას სიკეთეს ვერ მოუტანს.

„რასაკვირველია, გაზრდას პოზიტიურად აღიქვამენ ჩვენი დაბეჩავებული პენსიონერები, თუმცა მათს გაჭირვებას ნამდვილად არ უშველის დღეში რამდენიმე თეთრის მომატება. დღეში ერთი ლარიც არ გამოდის ამ დანამატიდან, ანუ ყოველდღიურად თეთრების იმედად არიან ჩვენი პენსიონერები. ვერ იქნება სანდო ასეთი ამომრჩეველი. რეალურად ხომ არჩევნებისთვის არის გათვლილი პენსიის მომატება ასეთი მცირე ოდენობით“, — აცხადებს სოსო ცისკარიშვილი.

ეს ყველაფერი, როგორც მოსალოდნელი იყო, ხელზე დაიხვიეს პოლიტიკურმა პარტიებმა. წინასაარჩევნოდ უმეტესობა დაპირებების ტრადიციულ გზას გაჰყვა და პენსიონერთა ხმებზე ნადირობა დაიწყო. მაგალითად, ნაცმოძრაობა მოსახლეობას ამჟამინდელი პენსიის 50 ლარით გაზრდას ჰპირდება. კიდევ უფრო გულუხვები აღმოჩნდნენ „თავისუფალი დემოკრატები“, რომლებმაც თამასა 300 ლარამდე ასწიეს.

„თავისუფალმა დემოკრატებმა“ საარჩევნო ეკონომიკური პროგრამის ნაწილი უკვე წარადგინეს. როგორც პარტიაში აცხადებენ, პროგრამის მთავარი აქცენტი მოსახლეობის ყოფის და მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესებაა. „თავისუფალი დემოკრატების“ წინასაარჩევნო დაპირება — მინიმალური ხელფასი 500 ლარის ოდენობით, 300-ლარიანი პენსია და 4 წლის განმავლობაში მინიმუმ 4 მილიარდით გაზრდილი ბიუჯეტი.

„თითოეული პენსიონერი იმსახურებეს უკეთეს ცხოვრებას. დღეს არსებული 160 ლარის ნაცვლად, ჩვენ განვსაზღვრეთ აუცილებელი საარსებო მინიმუმი 250 ლარით და ვიღებთ ვალდებულებას, რომ პენსია გახდება 300 ლარი და ინფლაციის შესაბამისად გაიზრდება. საქართველოს ყველა მოქალაქეს ეკუთვნის უკეთესი ანაზღაურება. ჩვენ ვიღებთ ვალდებულებას, რომ კანონით განსაზღვრული მინიმალური ხელფასი იქნება 500 ლარი. ვეღარავინ ამუშავებს ჩვენს მოქალაქეს საათში 3 ლარზე ნაკლებად“, — აცხადებენ „თავისუფალი დემოკრატები“.

ხელისუფლება კი, თავისი გამოცდილებიდან გამომდინარე, ამ ყველაფერს პარტიების „საარჩევნო ტრიუკს“ უწოდებს. საქმე ისაა, რომ „ქართულ ოცნებას“ თავადაც 220-ლარიანი პენსია ჰქონდა მიზანში ამოღებული, მაგრამ 4 წლის განმავლობაში „გეგმას 40 ლარით ჩამორჩა“. ასე რომ, მათ კარგად იციან, რა შესაძლებლობა აქვს ბიუჯეტს პოპულისტური დაპირების შესასრულებლად.

ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარეს დიმიტრი ხუნდაძეს მიაჩნია, რომ პარტიების დაპირება არასერიოზულია.

„არ შეიძლება ესტაფეტა გავმართოთ პოლიტიკურმა პარტიებმა ვინ მეტს შესთავაზებს თავის ამომრჩეველს. გამოსავალი არის მხოლოდ დაგროვებითი საპენსიო სისტემის ჩამოყალიბებაში, რაზეც პარლამენტი ეკონომიკის სამინისტროსთან ერთად აქტიურად მუშაობს“, — განაცხადა დიმიტრი ხუნდაძემ.

მისივე თქმით, არასამთავრობო ორგანიზაციების, აღმასრულებელი და საკანონმდებლო ხელისუფლების წარმომადგენლებთან ერთად ამ თემაზე არაერთი შეხვედრა გაიმართა და ხელისუფლება 2017 წლის მესამე კვარტალიდან ქვეყანაში დაგროვითი საპენსიო სისტემის ამოქმედებას გეგმავს.

„გამოსავალი სწორედ დაგროვებითი საპენსიო სისტემაა. სხვა შეთავაზება, ეს არის გათანაბრებული ტყუილთან და ეს არის საარჩევნო „ტრიუკი“. ასე რომ, პენსიონერებს, სოციალურად დაუცველებს ვთხოვ, ნუ გამოაყენებინებენ თავს საარჩევნო სპეკულაციისთვის“, — განაცხადა დიმიტრი ხუნდაძემ.

საპარლამენტო უმრავლესობის წარმომადგენლის თქმით, მათი ხელისუფლებაში ყოფნის პერიოდში პენსიები მეოთხედ გაიზარდა. მართალია, ეს საკმარისი ოდენობა არ არის, მაგრამ იმაზე მეტია, ვიდრე ინფლაციის მაჩვენებელი.

გეძა დანელია

◎ ეკონომიკური ზრდა

ზაფხულის ღამის სიზმრები თუ რეალისტური პროგნოზები?

მსოფლიო ბანკის მიერ ცოტა ხნის წინათ გამოქვეყნებულ ანგარიშში, ექსპერტებმა საქართველოს ეკონომიკური ზრდის მაჩვენებელი წლეულს კვლავ 3 პროცენტად შეაფასეს.

არადა, ქართველი სპეციალისტები გაცილებით ოპტიმისტურად არიან განწყობილი და 2016 წელს ეკონომიკის 4-პროცენტიან ზრდას ვარაუდობენ. როგორც ცნობილია, წლევანდელი სახელმწიფო ბიუჯეტის ძირითადი ინდიკატორი პარამეტრები სწორედ 3-პროცენტიან მატებაზეა გათვლილი, თუმცა კი ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის ექსპერტების განახლებული პროგნოზით, ეკონომიკური ზრდა დაგეგმილზე რამდენადმე მეტი იქნება და 3,4 პროცენტს გაუტოლდება. ამდენად, შეიძლება ითქვას, რომ ქართველი ეკონომისტების ოპტიმისტური ვარაუდი არც თუ უსაფუძვლოა. მათ იმედებს, როგორც ჩანს, ის გარემოებაც ამყარებს, რომ მთელი რიგი მაკროეკონომიკური მაჩვენებლით საქართველო რეგიონში მოწინავე პოზიციებზეა. აქვე ისიც უნდა ითქვას, რომ მსოფლიო ბანკის ექსპერტთა სკეპტიციზმი იმითაცაა გამოწვეული, რომ მათ წლის დამდეგს დადგენილი გლობალური ეკონომიკური ზრდის საპროგნოზო მაჩვენებელი 2,9 პროცენტიდან 2,4 პროცენტამდე შეამცირეს.

ქართველი ეკონომიკის ექსპერტების იმედიანი პროგნოზის საფუძველს იძლევა, უწინარესად, **უცხოური და სუვერენული ინვესტიციების მოცულობის ზრდა, ასევე ეკონომიკური აგენტების უკეთესი განწყობა, რაც ლარის კურსის გამყარებას უკავშირება.** ისიც უნდა ითქვას, რომ წლის განვლილ პერიოდში მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდაში ყველაზე დიდი წვლილი სამშენებლო სექტორს აქვს შეტანილი, რაშიც მნიშვნელოვანი როლი შეასრულა სახელმწიფოს მიერ დაფინანსებული სხვადასხვა სახეობის, მათ შორის განსაკუთრებით ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელების პროცესმა, ასევე კერძო სეგმენტის აქტივობამ. აღსანიშნავია, ასევე **სამთომოპოვებითი მრეწველობის** წარმატებები და საქართველოს **ძირითად სავაჭრო პარტნიორ ქვეყნებში ეკონომიკური მდგრადობის დონის ამაღლება.** ოპტიმიზმის კიდევ ერთი საგულისხმო საფუძველი ასევე ისიც არის, რომ ნახევარი წლის მანძილზე, შარშანდელ ანალოგიურ მაჩვენებელთან შედარებით, დაახლოებით 9 პროცენტით მოიმატა სახელმწიფო ბიუჯეტში აკუმულირებულმა საგადასახადო შემოსავალმა და, ამავე დროს, დადებითი ტენდენციები აღინიშნება ხარჯვით ნაწილში, რაც აქამდე ბევრ შემთხვევაში საკმაოდ პრობლემური იყო.

სპეციალისტები იმასაც აღნიშნავენ, რომ ეკონომიკური ზრდის ტემპი წლის შუაში ყოველთვის უფრო მაღალია, ვიდრე დასაწყისში.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ეკონომიკური ზრდის ტემპის მაჩვენებლის მატების ერთ-ერთი იმედისმომცემი არგუმენტი თებერვალში დაწყებული **ლარის კურსის გამყარება** (რომელიც სადღეისოდ დაახლოებით 15 პროცენტს შეადგენს) და, გარკვეული გადახრა-გადმოხრების მიუხედავად, **ინფლაციის დონის კლებაა.** ექსპერტები იმის პროგნოზსაც გამოთქვამენ, რომ, **გარკვეულ პერიოდში, ინფლაცია, შესაძლოა, 5-პროცენტიან მიზნობრივ მაჩვენებელს საგრძნობლად ჩამორჩეს.**

წლის განვლილ ექვს თვეში ლარის კურსის მერყეობის დინამიკის გათვალისწინებით, **2016 წლის მიწურულისთვის ექსპერტები დოლარის მიმართ ლარის 1,8-1,9 ფარგლებში გამყარებას ელიან.** ამ იმედიან ვარაუდს რამდენიმე გარემოება ამაგრებს, კერძოდ, ის, რომ ზაფხულში, ტრადიციულად, იზრდება ქვეყანაში უცხოური ვალუტის შემოდინება — **მატულობს ინვესტიციების, კერძო ფულადი გზავნილებისა და ექსპორტის მოცულობა, უცხოელ ტურისტთა შემოდინება.**

ხაზგასმით უნდა ითქვას, ისიც, რომ **ლარზე მოთხოვნის ზრდას დიდად უწყობს ხელს უკვე დაწყებული საპარლამენტო საარჩევნო კამპანია,** რომელიც თანდათანობით აქტიურდება. ეს კიდევ ერთი არგუმენტია იმ ექსპერტთათვის, რომლებიც იმედს გამოთქვამენ იმის თაობაზე, რომ წლის მიწურულს ეროვნული ვალუტის გამყარების მაჩვენებელმა შესაძლოა, 25-პროცენტიან ნიშნულს მიაღწიოს.

ოთარ ტურაბელიძე

ალექსანდრე ჯეჯელავა: მანდატურმა „ბუას“ იმიჯი უნდა შეიცვალოს

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრი ალექსანდრე ჯეჯელავა მანდატურის სამსახურში ცვლილებების შეტანას გეგმავს. მისივე ინფორმაციით, მანდატურის სახელის შეცვლაზე, კონკურსი გამოცხადდება.

„მანდატური მომწონს, მიმაჩნია, რომ უნდა იყოს. კომაროვში პირველი მანდატურის მოსვლას მოვესწარი. ეს იყო ჩაფიქრებული, როგორც ბუა. ბუა და პოლიციელი იყო ბავშვისთვის, რაც ნეგატიურად მოქმედებს ფსიქიკაზე. ბუა და პოლიციელი იყო მასწავლებლისთვის, რაც ჩაგვრის ელემენტია, რომ „შენ გაჩვენებ სეირს“. ბუა და პოლიციელი იყო დირექტორისთვის. პირველი 20 მანდატური სკოლის დირექტორი გახდა, ასე მითხრეს, არ ვიცი, გადაამოწმეთ. თუ ასეა, ნიშნავს, რომ მივიდა ტიპი, ძირი გამოუთხარა, სკამს ფეხი მოუხერხა და დაჯდა. 21-ე დირექტორი რას გრძნობს, ხომ წარმოგიდგენიათ?“ — განაცხადა ალექსანდრე ჯეჯელავამ.

მისივე თქმით, ახლა გაფორმებულია სამმხრივი ხელშეკრულება, მანდატური კოორდინაციაშია დირექტორთან, გახდა თანამშრომელი, რაც პოზიტიურია. მინისტრის განცხადებით, უწყება კადრების ნაკლებობას განიცდის. მისი თქმით, არ ჰყავს ადმინისტრაციის უფროსი და ყველაფრის გაკეთება თავად უწევს.

დიდუბის რაიონში თანადაფინანსებული პროექტები 100%-ით შესრულდა

დიდუბის რაიონის გამგეობის ბიუჯეტიდან 821 400 ლარი 94 სხვადასხვა პროექტზე დაიხარჯა.

27 მისამართზე შენობის ქანობიანი და ბრტყელი სახურავი შეკეთდა, 20 ობიექტზე შეიცვალა ლიფტი, 26 მისამართზე განხორციელდა სადარბაზოს შიდა სარემონტო სამუშაოები, ასევე, დომოფონისა და მეტალის კარის მონტაჟი. ავარიული სახლების გამაგრებითი სამუშაოები დასრულდა 1 მისამართზე. მომზადდა შენობის გამაგრების 3 საპროექტო დოკუმენტაცია, 12 მისამართზე დასრულდა საერთო სარგებლობის კიბეების, სართულშუა ნაპრალებისა და წყალსაწრეტი მილების რეაბილიტაცია.

3 თვის განმავლობაში, დიდუბის რაიონის გამგეობაში, სხვადასხვა თხოვნის საფუძველზე თანადაფინანსებული პროექტების განყოფილებაში, 244 განცხადება შემოვიდა.

წინანდლის „წმ. გიორგი“.

ქვ. ხოდაშნის „სამება“.

ვაჰ, დრონი, შორნი!..

შუამთის ქვეყანა

...ისევ ალაზნის მარჯვენა სანაპიროს ქვეყანა. ვანთის ციხე-ტაძრების შემოვლის შემდეგ, იქვე მდებარე **ბუშეტსა** და **ქვემო ხოდაშენში** ვჩერდებით. ორ სოფელს ერთად იმიტომ ვახსენებ, რომ ძველ დროში, ვაჩნაძიანისა და კალაურისა არ იყოს, სავარაუდოდ, აქაც ერთი დიდი სოფელი უნდა ყოფილიყო.

სავარაუდოდ, ქვემო ხოდაშნელები აქ გვიან ჩამოსახლდნენ ზემო ხოდაშნიდან და ბუშეტის ძველთაძველი, დაცარიელებული ჩრდილოეთის უბნები აითვსიეს. რას ეფუძნება ეს ვარაუდი?

პირველი: ძველ საისტორიო საბუთებში ქვემო ხოდაშენი არსად არ ჩანს, ბუშეტი კი ნახსენებია ხარჭაშნის (ერწო-თიანეთის) საეპისკოპოსოს დაბეგრილ სოფელთა ნუსხაში XI-XVI საუკუნეებში ბუშეტის ყმა-მამულზე დიდი წილი ედო სვეტიცხოვლის მონასტერსაც. კახეთის მეფის ალექსანდრე II-ის მიერ გაცემულ ერთ-ერთ სიგელში ამ სოფელს ბუშატი ჰქვია.

მეორე: მაშინ, როცა ბუშეტში მხოლოდ გვიან შუასაუკუნეების (XV-XVIII სს) ეკლესიებია, შედარებით ახალდასახლებულ ქვემო ხოდაშენში გაცილებით ძველი პერიოდის 9 ეკლესია, 5 ნაეკლესიარი, 1 ნადარბაზევი და 1 ციხის ნაშალია. ამათგან **„სამება“ VI-VII საუკუნეების კახური ხუროთმოძღვრების ტიპური ძეგლი, ანუ სამეკლესიანი საყდარია,** რომელსაც, დამატებით, ჩრდილოეთისა და სამხრეთის გარშემოსავლელები და მცირე სამლოცველოები აქვს.

ტაძრის ძირითადი შესასვლელი სამხრეთ გარშემოსავლელის ცენტრში ჩადგმული ორთაღიანი პორტალია, საიდანაც, როგორც დანარჩენ გარშემოსავლელებში, ისე ცენტრალურ ეკლესიაში შეიძლება მოხვედრა. კარი გარედან ბალავრებითაა გადახურული, შიგნიდან კი — ნალისებრი თაღებით. სამშენებლო მასალად ძირითადად საგულდაგულოდ შერჩეული რიყის ქვა, იშვიათად კი გათლილი შირიმია გამოყენებული. საკურთხევლის ნალისებრი აბსიდი უბემოა, გრძივი კედლები — უპილასტრო. მცირე სამლოცველოები ძირითადი ეკლესიის საკურთხევლისგან იზოლირებულია.

მიუხედავად იმისა, რომ ტაძრის კედლები მორღვეულია და დარბაზები ქვებითაა ამოვსებული, მისი საერთო სახის წარმოდგენა შესაძლებელია. სავარაუდოდ, ბუშეტის ძველთაძველი დასახლება ამ მიდამოებში იქნებოდა, ახლა კი აქ ხშირი ტყე და ჯაგნარია.

VIII-IX საუკუნეების **„ამიდასტურის“** ეკლესია ქვემო ხოდაშნის ცენტრშია. ეს მინიატიურული სამლოცველო (3,9X2,9 მ) ახალი აღდგენილია და საზედაშე ქვევრების ჯაჭვშია მოქცეული. **ამ სახელწოდების ეკლესიები მეზობელ სოფლებში ვაჩნაძიანში და ვანთაშიცაა.**

აქედან სამხრეთ-დასავლეთით, 3 კმ-ში, დგას კიდევ ერთი პატარა საყდარი, რომელიც **აღდგომის** სახელზეა აგებული (4,8X3,75 მ.). XIV საუკუნის ეს საყდარი რიყის ლოდების და აქა-იქ შირიმის ქვის წყობითაა აშენებული. იგი ყურადღებას აღმოსავლეთსა და დასავლეთის სარკმლების გაფორმებით იცქვეს. ორივე სარკმელი რძისფერი შირიმის ერთიან ქვაშია გამოკვეთილი. დასავლეთის სარკმლის ორსავ მხარეს დიდი და მცირე ვარდულებია გამოქანდაკებული, **აღმოსავლეთ სარკმლის მარცხენა მხარეს კი ეკლესიის ქტიტორი, სასულიერო პირია, რომელიც მნახველს ჯვარს გარდმოსახავს.** სამხრეთ ფასადზე ქტიტორი კიდევ ერთხელ გვახსენებს თავს — კარიდან მარცხნივ, ნალესობაზე, ეკლესიის მაშენებლის მარჯვენა ხელია გამოსახული.

ქვ. ხოდაშნის „აღდგომის“ რელიეფი.

ქვ. ხოდაშნის „ამიდასტური“

...წინანდლისკენ მივიჩქარით.

ეს ცნობილი სოფელი მდინარე კისისხევის მარჯვენა სანაპიროზეა შეფენილი და გაღმა სოფელ კისისხევს გაჰყურებს. მდინარემ, რომელიც ვიწროდ მოედინება, გაზაფხულობით მოვარდნა იცის. იგი გომბორის ქედის უმაღლესი მთიდან — ცივიდან იღებს სათავეს და ალაზნის მარჯვენა შენაკადებში სიგრძით (137 კმ.) მხოლოდ ილტოს ჩამორჩება.

აქაურ მოსახლეობაში, კისისხევის სახელწოდებასთან დაკავშირებით, ორი ვერსიაა გავრცელებული. ერთის თანახმად, ხევს ასე იმიტომ ჰქვია, რომ ღამის მდუმარებაში გაღმა-გამოღმა სოფლებში, თურმე, კისკისივით აღწევს მდინარის ხმაური. მეორე ვერსია ლეგენდას წააგავს და იმას გვეუბნება, რომ კისა აქაური თემის უძველესი ბელადის სახელია, იმ ბელადისა, რომელმაც სოფელი ხევის სათავეებიდან ქვევით ჩამოასახლა.

სულხან-საბას განმარტებით, კისა იგივე ქარქვეტი, ანუ ხმელი კაჭაჭია (გამხმარი შამბის ღერია). ეს კი იმას გვეუბნება, რომ ხევისთვის ხშირი შამბიანობისთვის დაურქმევიათ ასე. 1721 წლის აღწერით ამ სოფელს კისისხევი კი არა, „კისხევი“ ჰქვია. კიდევ უფრო რთული ასახსნელია ტოპონიმ „წინანდლის“ სემანტიკა. ვარაუდი, რომ ეს „ნინოს ცხოვრებაში“ ნახსენები „ქცელდაბაა“, უსაფუძვლოდ მეჩვენება, რამეთუ ქცელდაბა, დიდი ალბათობით, ჭერემის წვერდაბა უფროა. მართებული იქნება თუ წინანდალს კისისხევის წინად დაბად მივიჩნევთ აღმოსავლეთის მხრიდან. ეს იმიტომ, რომ კისისხევის დასახლება, უფრო ძველი და საგულისხმოა, ვიდრე წინანდალი. საერთოდ, ტოპონიმების კვლევა მეტად სარისკო საქმეა და მეც აქ უნდა შევჩერდე. თანაც, ამ საუბარში ალექსანდრე ჭავჭავაძის სახლ-მუზეუმს მივადექით და მის მშვენიერ ეზოში უნდა შევიდეთ...

შაჰ-აბაზის მიერ განადგურებული წინანდლის აღორძინება 1680 წელს კახთა მეფეს ერეკლე I-ს ჭავჭავაძეების განაყარი გვარისთვის — მამუჩელაშვილებისთვის მიუნდვია. მეფეს ისინი თუშეთში გაწეული სამსახურისთვის დაუფასებია, აზნაურობა უბოძებია და აქ დაუსახლებია. მომდევნო ხანებში თეიმურაზ II-ს ისინი მცირე თავადის ხარისხში აუყვანია, ხოლო ერეკლე II-ს ჭავჭავაძეობა განუახლებია. საყოველთაოდ ცნობილია, თუ რა პატივით სარგებლობდა ერეკლე II-ის კარზე გეორგიევსკის ტრაქტატის ერთ-ერთი სულისჩამდგმელი და ხელმომწერი გარსევან ჭავჭავაძე, რომელმაც პირველი მოზრდილი სასახლე ააგო აქ. 1818-1831 წლებში უფრო დიდი სასახლე ააშენა გარსევანის ვაჟმა, ცნობილმა ქართველმა პოეტმა და საზოგადო მოღვაწემ ალექსანდრე ჭავჭავაძემ. 1854 წელს აქაურობა შამილს დაქვემდებარებულმა მეკობრეთა ლაშქარმა გადაწვა. ალექსანდრეს ვაჟმა დავით ჭავჭავაძემ დიდი გაჭირვებით შეძლო დაქცეულის აღდგენა, მაგრამ იმდროინდელი სასახლიდან ახლა ბევრი აღარაფერია გადარჩენილი. საქმე ისაა, რომ 1886 წელს ეს მამულები შეიძინა და დიდწილად გადააკეთა რუსეთის საიმპერიო-საუფლისწულო მამულების დეპარტამენტმა. ადგილ-მამულის მმართველი გახდა პ. ბაგოუტი. ამ პერიოდში ჭავჭავაძეთა მარნის ნაცვლად ახალი მარანი აიგო, ხოლო სასახლის ნაცვლად — სასტუმრო. ძველი სასახლის ერთი ნაწილი კონსერვირებული იქნა და ახალი შენობის სტრუქტურაში ჩაერთო. ასე რომ, იმ ცნობილი სასახლიდან, რომელსაც ბრწყინვალე სტუმრები, პოეზიის საღამოები თუ ალექსანდრეს მტრედებივით ასულების ღუღუნი ახსოვს, ბევრი აღარაფერია დარჩენილი. განახლებული სასახლე-მუზეუმი, ნუ გვიწყენენ და, მაინც ერთგვარი ბუტაფორიაა, ნამეტანი გაევროპელებულია, ჩვენ კი ვიცით, რომ ევროპული კულტურის მხარდაჭერის მიუხედავად, ალექსანდრე ჭავჭავაძე ტრადიციული ფასეულობების დიდი დამცველი გახლდათ. ყასიდად როდი შენატროდა იგი ძველ დროს — **„ვაჰ დრონი, დრონი“-ო და ტყუილად როდი გვარწმუნებდა: „მე იგივე ვარ მარად და მარად, არ ვსდევ ჟამთა ცვლას, მე იგივე ვარ მარად და მარად!..“**

ალექსანდრე ჭავჭავაძე, ისევე როგორც მთელი მისი სახლი და საგვარეულო, საქართველოს წარსულით იყო მოამაყე. ამ მხრივ ძალიან საინტერესოა ნიკოლოზ პირველისადმი გაგზავნილი მისი წერილი. ერთგან იგი ასე მიმართავს რუსეთის იმპერატორს: **„ახლანდელი საქართველოს მნახველი ძნელად თუ დაიჯერებს, რომ ეს ქვეყანა ერთ დროს ჰყვაოდა. მისი გარდასული დიდების მოწმედ უტყვი ნანგრევებიღა დარჩენილა და მხოლოდ ბიზანტიელ ისტორიკოსთა ნაწერები მოწმობენ ქართველი ხალხის ყოფილ სიძლიერეს... საკარო გადატრიალებათა შედეგად, რომლებიც ეგზომ დიდხანს არყევდნენ ამ ქვეყანას, მოსპო მატიანეთა და ისტორიულ წყაროთა დიდი ნაწილი“.**

ალ. ჭავჭავაძის ეს სიტყვები პირდაპირ ეხმიანება იმ გულისტკივილს, რომელსაც ივანე ჯავახიშვილიც გამოთქვამდა და რა ხანია, ჩვენც გვაწუხებს კახეთში მოგზაურობისას. დიახ, ქვათა მატიანეს ღირსეულად ვერ უბამს მხარს წერილობითი მატიანეები, მაგრამ, ვგონებ, ეს არც მარტოოდენ სამეფო კარის გადატრიალებების შედეგია და არც მომხდურების ნამოქმედარი. მიზეზები ჩვენშივე, საერთო მომავლისადმი უდარდელობაში უნდა ვეძიოთ. სხვათაშორის, ამ კუთხით შუმერები მახსენდებიან. სემიტებისგან და ინდოევროპელებისგან განსხვავებით, ისტორიის წერა მათაც „ეზარებოდათ“; მაგრამ ჩვენ, როგორც ძველად იტყოდნენ, პირველსა სიტყვასა მოვიდეთ და შუამთის ქვეყნის ძეგლებს დავუბრუნდეთ.

წერილს წინანდლის წმ. გიორგის კომპლექსის აღწერით დავასრულებ: ამ კომპლექსში, რომელიც სოფლის ცენტრშია, „წმ. გიორგისთან“ ერთად, „ღვთისმშობელიც“ დგას, გალავანი კი 2008 წელსაა შემოვლებული. ორთავე ეკლესია გვიანი შუასაუკუნეებისაა. „ღვთისმშობელი“ რიყის ქვით ნაგები ტიპური და მარტივი დარბაზული საყდარია, „წმ. გიორგი“ კი მოდერნიზებული გუმბათიანი ეკლესიაა. აქ გუმბათი ოთხქანობა სახურავის ქვეშ იმალება, მაგრამ ეს არც „რეხულის არმაზის“ და არც „წირქოლის“ გამეორებაა. ამ შემთხვევაში ჩვენ საქმე გვაქვს შეკრულ კამერებთან, რომლებიც ძველი აბანოების გადახურვას უფრო გვაგონებს და ეკლესიის ცენტრალურ ნაწილზე დამხობილი ჯამს წააგავს. ზედხედში ჯვრის ფორმის იმიტაციას ქმნის ცენტრალურ ნაწილთან შედარებით მკვეთრად შევიწროებული ხუთწახნაგა შვერილი აბსიდი და დასავლეთის კარიბჭე. აგურითა და რიყის ქვით ნაგები ამ ტაძრის ჩრდილოეთ მხარეს უამრავი ქვევრია წამოწოლილი.

წინანდლისა და კისისხევის სხვა, გაცილებით ძველ ტაძრებს მომდევნო წერილები დაეთმობა.

გელა ქოქიაშვილი.

ქვ. ხოდაშნის სანდრიანთ ციხე

გაგრძელება. დასაწყისი იხ. № 119, 123

ყოველკვირეული ლიტერატურულ-პუბლიცისტური ჩანართი №252

გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკის“ 2016 წლის 11 ივნისის ნომერში გამოქვეყნდა ცნობილი მეცნიერისა და მოღვაწის, ქ-ნ **დენიზა სუმბაძის** ღია წერილი მართლმადიდებლური მსოფლიოს პატრიარქისა — მისი ყოვლადუწმინდესობის ბართოლომეოსისა და საქართველოს პრემიერის, ბ-ნ გიორგი კვირიკაშვილისადმი, რომელშიც ავტორისეული თვალსაზრისი იყო შემოთავაზებული რუსთაველის საიუბილეო თარიღის აღნიშვნისათვის, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ეგიდით, ანუ მსოფლიო მასშტაბით. რამდენადაც 2016 წელი იუნესკოს მიერ რუსთაველის წელიწადად არის გამოცხადებული მთელ მსოფლიოში, წერილის ავტორის ხედვით, საეკლესიო და საერო ხელისუფალთა ერთობლივი შუამდგომლობით, მსოფლიო პატრიარქისა და საქართველოს მთავრობის ერთიანი ძალისხმევით, **სრული ისტორიული შესაძლებლობა ისახება:** რუსთაველის მოსახსენებელი საეკლესიო რიტუალი საქართველოს ეკლესიის მიერ გაიმართოს იერუსალიმის ქართველთა ჯვრის მონასტერში, იქ, სადაც დაწესდა რუსთაველის პირველი მოსახსენებელი აღაპი და ამ დიადი სახელის ხსენებით აღდგეს საუკუნეობით შეწყვეტილი ქართული წირვა-ლოცვა იერუსალიმის ქართველთა ჯვრის მონასტერში. ქალბატონ დენიზა სუმბაძეს მხარდაჭერას უცხადებენ: ფილოსოფიის მეცნ. დოქტორი, პროფესორი **რევაზ ბალანჩივაძე,** ისტორიის მეცნ.დოქტორი, მწერალი **ზურაბ რატიანი,** ეკონომიკის მეცნ. დოქტორი, პროფესორი **ნოდარ ჭითანავა,** აღმოსავლეთმცოდნეობის დოქტორი, აკადემიკოსი, **ელიზბარ ჯაველიძე,** ფილოლოგიის მეცნ.დოქტორი, პროფესორი **ზურაბ ჭუმბურიძე,** იურიდიულ მეცნ. დოქტორი, პროფესორი **ოთარ გამყრელიძე,** გერმანისტიკის დოქტორი, პროფესორი, ცნობილი თეოლოგის ჰანს კიუნგის შრომების ქართულად მთარგმნელი, **ზურაბ აბაშიძე,** ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი **ვაჟა თვალავაძე,** ისტორიკოსი-ეთნოგრაფი **ლეილა მირიანაშვილი,** სამართალმცოდნე, ქაშუეთის ეკლესიის სტიქაროსანი **ზეგან-ნოდარ სუმბაძე.**

გთავაზობთ გამოხმაურებებს აღნიშნულ წერილზე:

რუსთაველის სახელი გვაკავშირებს...

ახლახან გაზეთმა „საქართველოს რესპუბლიკამ“ გამოაქვეყნა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის არეოპაგიტული სამეცნიერო ცენტრის დამფუძნებლისა და ხელმძღვანელის, ფილოსოფიურ მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორ დენიზა სუმბაძის მნიშვნელოვანი წინადადებები რუსთაველის საიუბილეო წელთან დაკავშირებით.

შოთა რუსთაველი ქართული სულიერი კულტურის ისეთი მწვერვალია, რომელიც ქვეყნის განვითარების ნებისმიერ ეტაპზე უნდა ასრულებდეს უმთავრესი ისტორიული ორიენტირის როლს და ეს მით უფრო აქტუალურია დღევანდელ დღეს, რადგან „ვეფხისტყაოსანი“ საუკეთესოდ წარმოაჩენს ქართველი ერის საკაცობრიო როლსა და ადგილს დასავლურ და აღმოსავლურ კულტურათა მუდმივად სისხლსავსე (და არცთუ იშვიათად - დრამატული) ურთიერთობის საზღვარზე.

შოთა რუსთაველის სახელთან დაკავშირებული ნებისმიერი ღონისძიება თავისთავად იძენს საერთაშორისო მნიშვნელობას. ამ თვალსაზრისით საქართველოს ისტორიის გამორჩეულ ფურცლად იქცა 1966 წელი, როდესაც გენიალური ქართველი პოეტის 800 წლისთავის საიუბილეო ღონისძიებებმა მართლაც შეიძინა საერთო-საქვეყნო მასშტაბები და ამ საიუბილეო კამპანიის შედეგებიც ალბათ დიდხანს (თუ - სამუდამოდ არა) დარჩება მიუღწეველ თუ საოცნებო დონედ. მხოლოდ „ვეფხისტყაოსნის“ გამოცემათა და ცალკეულ სამეცნიერო თუ საიუბილეო პუბლიკაციათა აღრიცხვამ რუსთველოლოგიური ბიბლიოგრაფიის ერთი მოზრდილი ტომი შეადგინა. ცალკე აღნიშვნის ღირსია ამ იუბილეს ჭეშმარიტად საერთაშორისო რეზონანსი...

დამოუკიდებელი საქართველოს დღევანდელობა იმდენად არის შთანთქმული სახელმწიფოს ფორმირების ფართო თუ ვიწრო პრობლემებით, რომ, როგორც ჩანს, 2016 წელი - როგორც 850-ე საიუბილეო თარიღი — იმავე მასშტაბებს ვერ შეიძენს. თუმცა ამ თარიღთან დაკავშირებულ ღონისძიებებს კვლავაც შეიძლება მიენიჭოს შესაბამისი რანგი და წონა, ვინაიდან ისინი იუნესკოს ეგიდით წარიმართება. სწორედ ამის გამო მოითხოვს განსაკუთრებულ ყურადღებას „ვეფხისტყაოსნის“ საიუბილეო გამოცემები, თანამედროვე მოთხოვნათა შესატყვისი პოპულარიზაციის სხვა ინიციატივები და თავად დამაგვირგვინებელი საიუბილეო ღონისძიება, რომელმაც მნიშვნელოვანი სახელმწიფოებრივი დატვირთვა უნდა შეიძინოს.

რაც შეეხება ქალბატონი დენიზას უმთავრეს გზავნილს ჩვენი ქვეყნის ხელისუფლებისა და საზოგადოებისათვის, ის შეეხება უკვდავ ქართველთა იმ წარუშლელი ნაკვალევის შენარჩუნებასა და მოვლას, რომელიც მათ ქრისტიანული ცივილიზაციის გარიჟრაჟზე აღბეჭდეს იმდროინდელი კულტურის უმნიშვნელოვანეს ცენტრებში. ამ მხრივ მართლაც გამორჩეული ადგილი ეკუთვნის პალესტინის ჯვრის მონასტერს, რომელიც თვალსაჩინოდ ინახავს ქართველთა მოღვაწეობის შედეგებს და, განსაკუთრებით, სამი დიდი ქართველის — პეტრე იბერიელის, თამარ მეფისა და შოთა რუსთაველის — სახელებს. ამ მემკვიდრეობის მოვლა, გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, ეროვნული და სახელმწიფოებრივი პრესტიჟის საქმეა!..

მიმდინარე საიუბილეო წელი სწორედ შესაფერისი საფუძველია ამგვარი სტრატეგიული ინიციატივების წარმოჩენისათვის.

ყველას მოეხსენება, თუ რა როლი შეასრულსა პალიმფსესტების გაშიფვრამ ქართული მწიგნობრობის ისტორიისათვის. ანალოგია რომ გამოვიყენოთ, მიმდინარე ისტორია დროდადრო გადაფარავს ხოლმე წარსულის უმნიშვნელოვანეს ფურცლებს და საზოგადოებას აიძულებს მზერა წარსული ფასეულობებიდან ყოფით პრობლემებზე გადაიტანოს. ამიტომაც სჭირდება ისტორიას მუდმივი „გადაფხეკა“, მუდმივი გააქტიურება და წარუვალ ფასეულობათა მუდმივად წარმოჩენა ფართო საზოგადოების თვალსაწიერზე...

რუსთაველის საიუბილეო წელი ამაზე ფიქრსა და მოქმედებას გვავალდებულებს!

ავთანდილ არაბული.
საქართველოს ენათმეცნიერებათა ინსტიტუტის დირექტორი.

რუსთაველის საიუბილეოდ

ვუჯერ მხარს ქ-ნ დენიზა სუმბაძის „ღია წერილით“ გამოთქმულ სურვილს და ჩემ ხელმოწერას დავურთავ მასზე ხელმომწერთა სიას. ამასთანავე მაქვს განსხვავებული თვალსაზრისი მეფე თამარის წმინდა ნაწილების იერუსალიმში განსვენების შესახებ. ვფიქრობ, მისი საფლავი არის გელათში, სადაც არის თამარის ეკვდერი. ეს თვალსაზრისი წერილებითაც მაქვს გამოქვეყნებული. სასურველია, რომ ამ დიდი თარიღის აღსანიშნავად საქართველოში შეიქმნას და ფუნქციონირებდეს „რუსთველოლოგიური და არეოპაგიტული საკუთრივი სამეცნიერო ცენტრები, რომელთაც იერუსალიმის ქართველთა ცენტრებში თავ-თავისი ფილიალები უნდა ჰქონდეთ“ . ვთვლი, რომ მოსაზრება მისაღებია, მაგრამ ასეთი „ფილიალები“ უნდა შეიქმნას მას შემდეგ, რაც სათანადო ინსტიტუტები შეიქმნება ჯერ საქართველოში და შემდეგ მათი ფილიალები იერუსალიმში.

შეიძლება სადავო იყოს ზოგი სხვა საკითხიც, მაგრამ ამჯერად მათზე სიტყვას არ გავაგრძელებ და „ღია წერილზე“, აღნიშნულის გათვალისწინების შემდეგ, დიდად პატივცემულ პირთა ხელმოწერასთან ერთად, მოვათავსებ ჩემ ხელმოწერასაც.

უღრმესი პატივისცემით
მარიამ ლორთქიფანიძე.

„გლობალიზაციისა და სატანისტური შემოტევის წინააღმდეგ“

მხარს ვუჭერ ქ-ნ დენიზა სუმბაძის აზრს, რომელიც გამოქვეყნებულია გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ (№107-ე) 2016 წლის 11 ივნისის ნომერში, ღია წერილით მსოფლიო პატრიარქისა და საქართველოს პრემიერის მიმართ. მახარებს, რომ ასეთი წერილი შეიქმნა.

ქ-ნი დენიზა თხოვნით მიმართავს მსოფლიოს მართლმადიდებლური ქრისტიანობის პატრიარქს, რათა „ქრისტიანობის სჯულის კანონის თანახმად, იერუსალიმის ქართველთა ჯვრის მონასტერსა და სხვა სამლოცველოებში აღდგეს ქართული წირვა-ლოცვა. ამას მოითხოვსო ქართველი ერისადმი ღვთითმოძღვნული სულიერი მისია და დანიშნულება კაცობრიობის წინაშე. ასევე — დიდი რუსთაველის წელიწადის აღსანიშნავად — ქ-ნი დენიზა სუმბაძე გვთავაზობს, მსოფლიო საპატრიარქოს შუამდგომლობით, იერუსალიმის პატრიარქისა და ისრაელის პარლამენტის თანადგომით, ჩვენი ხალხის თხოვნისამებრ, იერუსალიმის ჯვრის მონასტრის მიმდებარედ, შეიქმნას სამი მემორიალური ხეივანი, სავარაუდოდ, სკულპტურული კომპოზიციებით: დიდი პეტრე იბერიელის — ქართველთა ჯვრის მონასტრის დამფუძნებლის, დიდი რუსთაველის, რომლის პირველი მოსახსენებელი აღაპიც დაწესდა ჯვრის მონასტერში, როგორც თამარ მეფის მეჭურჭლეთუხუცესის და დიდი თამარ მეფის, რომლის წმინდა ნაწილნიც განისვენებენ იერუსალიმში.... ჩვენ არა გვაქვს უფლება ამ დიდ მნათობთა საფლავების დაკარგვისა! საქართველოს ეკლესიას უნდა მიეცეს შესაძლებლობა ამ დიდი მოსახსენებლების უწყვეტი აღვლინებისა იერუსალიმში, ხოლო ქართველ ხალხს მუხლის მოყრისა მათ საფლავებთან...“

გვამცნობს რა აღნიშნული წერილის ავტორი იუნესკოს მიერ 2016 წლის გამოცხადებას რუსთაველის წელიწადად მთელ მსოფლიოში, ხაზს უსვამს რუსთველის მნიშვნელობას თანამედროვე მსოფლიოსათვის: „რუსთაველი, როგორც მე-12 საუკუნის ეს დიდი საკაცობრიო მოაზროვნე და მორალისტი - წერს ქ-ნი დენიზა სუმბაძე, ალბათ არასოდეს ყოფილა ისეთი აქტუალური და ისეთი საჭირო მთელი კაცობრიობისათვის, როგორც ეს დღეს არის. ჩვენ ვთავაზობთ მსოფლიოს რუსთველურ რაინდობას, როგორც ადამიანური ცხოვრების უკეთილშობილეს გზას...“ „არ არსებობს მეორე წიგნი კაცობრიობისა, რომელიც ესოდენ ღრმად ქრისტიანული აპოლოგიაა მოყვასის სიყვარულისა და ერთდროულად სრულიად სხვადასხვა სარწმუნოების წარმომადგენლებს კაცობრიობისას ერთ სულიერ ოჯახად ასე ჰკრავდეს და ამგვარ მოყვასურ სიყვარულს სახავდეს სიკეთის ბოროტებაზე გამარჯვების იდეოლოგიად“.

წერილში აგრეთვე საუბარია მეორე დიდ მოაზროვნეზე, ახალი ნეოპლატონური იდეოლოგიის, ანუ არეოპაგიტული მოძღვრების შემქმნელზე, რომელიც ისტორიაში ცნობილია **დიონისე არეოპაგელის** სახელით და რომლის მოძღვრებაც, აკადემიკოს შალვა ნუცუბიძის თეორიაში, საფუძვლად დაედო შუასაუკუნეების ევროპული რენესანსის განვითარებას. როგორც ცნობილია, საქართველოში ბევრად უფრო ადრე დაიწყო რენესანსი, რაც ხუროთმოძღვრებაში გაჩნდა ჯვარ-გუმბათოვანი ტაძრის სტილით. ქ-ნი დენიზა სუმბაძე მკითხველის ყურადღებას ამახვილებს ისტორიულ ფაქტზე: რომ ამ დიდი თეოლოგიური მოძღვრების შემოქმედი და იერუსალიმის ქართველთა ჯვრის მონასტრის დამფუძნებელი ერთი და იგივე პიროვნებაა: უფლისწული **პეტრე იბერიელი,** რომელმაც უარყო ორი სამეფო კარი და ბერად აღკვეცილმა სამონასტრო ცხოვრებას მიუძღვნა თავისი სიცოცხლე, რომ **პეტრე იბერიელის დაფუძნებული მონასტერი აღმოჩნდა სწორედ რუსთაველის სიცოცხლის ბოლო პერიოდისა და საბოლოო განსვენების ადგილი...**

დღეს, ქართველი ერისათვის ამ უმძიმესი გლობალიზაციის შემოტევის პერიოდში, როცა საქართველოსთვის ყოფნა-არყოფნისა და გაქრობის საშიშროება სახეზეა, სატანისტური შემოტევის წინააღმდეგ თითოეული ჩვენგანის მობილიზებაა აუცილებელი, ქ-ნ დენიზა სუმბაძის გამოკვლევების კითხვისას იმ დასკვნამდე მივდივარ, რომ მას უფალმა დააკისრა ერის გამოფხიზლების სულიერი მისია.

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საზოგადოებრივი გაერთიანების „თბილისის უნივერსიტეტის ანსამბლეის“ იდეა, ვიმედოვნებთ, უმნიშვნელოვანესი პროექტის სახით განხორციელდება.

აკაკი კიკვაძე,
მოქანდაკე.

◎ **გამოხმაურება**

ისახება დიდი ისტორიული შესაძლებლობა...

ერთი საოჯახო „ტრიპტიქი“



როცა შენთვის უსაყვარლეს ადამიანებზე მსჯელობ, რა თქმა უნდა, ემოციები გეძალება... მით უმეტეს, თუ აწ გარდაცვლილებს იხსენებ და მით უფრო, თუკი ეს მამას, ბაბუას, დიდ პაპას ეხება. ამიტომ ჩემი მონათხრობი ვინმემ სუბიექტურობაში რომ არ ჩამომართვას, შევეცდები, ყოველგვარი მამაშვილური და შთამომავლური გრძნობებისაგან დისტანცირებით გიამბოთ მამა-პაპაზე, ჩემს საოჯახო გენეტიკაზე. ამ ცხოვრებისეული ორომტრიალით გადაღლილთ იქნებ გაგიკვირდეთ კიდეც, რა დროს ეგ არისო. მაგრამ არის. არის იმიტომ, რომ ოჯახი პატარა სახელმწიფოა. პატარა კი ყოველთვის დიდის საწყისია. ამ ლოგიკით, ოჯახი სახელმწიფოს საფუძველია.

როცა ამ გადასახედიდან ჩემი ებრაელი მამა-პაპის ნაჯაფარს გონების თვალით ვუმზერ, თამამად შემიძლია ვთქვა: ბუზუკაშვილების საოჯახო აქტივი არ წარმოადგენს მარტოოდენ ამ ოჯახის ისტორიას. ეს ამ ქვეყნის ბეგრაუნდიც არის. არის, რადგან ამ ოჯახმა სამოქალაქო პასუხისმგებლობის ცივილიზებული სტანდარტით იცხოვრა. ამ მაღალ სტანდარტში ვგულისხმობ სამოქალაქო ვალდებულათა ზედმიწევნით განაღდების უანგარო სტილს, მატერიალურ და სულიერ ღირებულებათა მოცულობით პაკეტს, რაც მომავალი თაობების სამოქალაქო ორიენტირებისათვის არის ნიშანდობლივი. ყოველივე აღნიშნული ილუსტრირებულია როგორც ქართული, ისე საკუთრივ ებრაულ რელიგიურ, კულტურულ, ეკონომიკურ თუ სხვა სეგმენტებში. ამიტომაც გთავაზობთ ამ სახელდახელო საოჯახო „ტრიპტიქს“.

ევროპული განათლება ბუზუკაშვილების ოჯახში ჯერ კიდევ მე-19 საუკუნეში დიდი პაპის, ევროპაში (კრაკოვსა და ვარშავაში) განსწავლული და ევროპაშივე რაგინად ნაკურთხი ელია ამშიკაშვილის მეშვეობით შემოვიდა. ელია მამაჩემის – **დავით ბუზუკაშვილის დედის მამა გახლდათ. სწორედ ელიას აშენებულია ონის სინაგოგა, რომლის 120 წლისთავი შარშან სექტემბერში აღინიშნა. სინაგოგა მავრიტანული არქიტექტურის თვალსაჩინო ნიმუშია. ეს ის სტილია, ევროპის მოწინავე დედაქალაქების ლანდშაფტებს რომ ამშვენებს. ამ სინაგოგით ჩვენმა ოჯახმა საქართველოში მატერიალური კულტურის ძეგლი დატოვა.** კულტურული მემკვიდრეობის ეს არქიტექტურული ძეგლი ელიამ ევროპული საქმიანი სამყაროს მეგაგრანდების – **როტშილდებისა და ნობელების** შეწევნით ააგო. ამ ძეგლის ასაგებად გაწეული ძალისხმევით ელია ცივილიზებულ სულისკვეთებასაც ნერგავდა. როცა ონის რეგიონში ტურისტული ინფრასტრუქტურა სათანადოდ გაიშლება, ეს ძეგლი, თავისი ულამაზესი ისტორიით, სავალუტო შემოსავალსაც მოიტანს. კომუნისტური ათეიზმის ეპოქაში, როცა ეკლესია-მონასტრების ნგრევის ვანდალური კამპანია გაჩაღდა, ონის სინაგოგის გადასარჩენად ჩვენმა ოჯახმა მეტად სარისკო აქცია განახორციელა. საკუთარი ოჯახის ყველა ქალ-რძალი და ჩვილი ტაძარში გამოკეტეს. მათ ქცევას ონის მთელმა ებრაულმა თემმა მიბაძა. დიდი გაბუა – მოსე ბუზუკაშვილი მოელაპარაკა რაჭის ერთ-ერთი სოფლის მეტად გაჭირვებულ მეძუძურ ქალებს, რომლებიც საკუთარ ჩვილებიანად ჩავიდნენ ონში და სინაგოგას წრე დაარტყეს. მათი მეშვეობით ებრაელი მამაკაცები სინაგოგაში გამოკეტილებს მალულად რძეს აწვდიდნენ. როცა მნგრეველები ტაძარს მიადგნენ, შიგნიდან და გარედან გამაყრუებელი წივილ-კივილი ატყდა. ვანდალები გაოგნდნენ. დრო გაიწელა. ამასობაში კი ებრაელმა მამაკაცებმა თბილისში მთავრობაში საქმე „ჩააწყვეს“ და სინაგოგის ხელშეუხებლობის საბუთი მოიპოვეს. სინაგოგა გადარჩა. მადლიერმა მოსე გაბუამ ის რაჭველი ქალები და ბავშვები ფინანსურად გულუხვად დაასაჩუქრა. ელია ამ დროსითვის უკვე ცოცხალი აღარ იყო. იგი 40 წლის ასაკში 1912 წელს, ერთ-ერთი საგანმანათლებლო მისიის დროს, ნალჩიკში (ყაბარდო) დაიღუპა და ალაგირში (ჩრდ. ოსეთი) დაკრძალეს.

სხვათა შორის, ელია ფინანსურად შეეწია რაჭველი ყიფიანების წამოწყებას, რომელიც მიზნად დიდი **დიმიტრი ყიფიანის** ხსოვნის უკვდავსაყოფად ძეგლის აგებას ისახავდა. და კიდევ: ელიას ერთი უცხოელი მეგობარი, რომელმაც დიდ მიზნესში მწვერვალებს მიაღწია, ცნობილ „ტიტანიკზე“ დაიღუპა.

არონ ბუზუკაშვილი


დავით ბუზუკაშვილი

ელიას სიძე (მამაჩემის მამა) **არონ ბუზუკაშვილი** გასაგჭოებამდე საერთაშორისო ასპარეზის მქონე მიზნესმენი იყო: მარსელში კრამიტის მანუფაქტარებს ფლობდა, ლოძში (პოლონეთი) აბრეშუმს აწარმოებდა. სტამბულში, შუა აზიასა და ჩრდ. კავკასიაში ტყავ-მეწყვეულს, მაქოში ნავთობს, მოსკოვში მაუდს (მოსკოვში მისი კომპანიონი იყო გენიალური მხატვრის პეტრე ოცხელის მამა, გრიგოლ ოცხელი). ჰყავდა საკუთარი გემი „კოსმოსი“. იყო მსხვილი საბიუჯეტო გადამხდელი, დიდი ქველმოქმედი, მედიასპონსორიც. ერთ-ერთი დამოუკიდევბელ გაზეთს, სანამ კომუნისტები დახურავდნენ, ყოველ ნომერზე ურიცხავდა 75გრ. ხალას ოქროს. თბილისში, თავისუფლების მოედანზე, პუშკინის 17/ დიუმას 30-ში ბუზუკაშვილების საგვარეულო სახლის ნასყიდობის ხელშეკრულების თანახმად, შესყიდვის პროცესში, სავალდებულო საბიუჯეტო გადასახადებთან, ერთად გაბუა არონმა **მნიშვნელოვანი საქველმოქმედო ფინანსური შენატანები განახორციელა ქართველ დამშეულთა სასარგებლოდ და წითელი ჯვრის სასარგებლოდ.** ებრაელი კაცი,მიუხედავად იმისა, რომ ჯვართან, როგორც ასეთთან, მიმართება არა აქვს, აცნობიერებს რა, აღნიშნული ორგანიზაციის მისიას, ჰუმანიტარული მიზნებით ახორციელებს ფინანსურ საქველმოქმედო დახმარებას.

ამგვარი თავგამოდებული ძალისმევით ჩვენი ოჯახი სხვა სივრცეში – არ ვაჭარბებ – ფორბსელები ვიქნებოდით. მაგრამ პოლიტიკური ბედის ირონიით, რეპრესირებული გაბუა არონი ბოლოს უბრალო მუშად და პროლეტარად აქციეს.

* * *

მამაჩემს – საქართველოს დამსახურებულ ჟურნალისტს, დავით ბუზუკაშვილს საკუთრივ ჟურნალისტური პრაქტიკის გარდა, კიდევ მრავალმხრივი ინტერესები გამოარჩევდა: იყო ინტენსიური მკლევარი, წარმატებული მთარგმნელი, გამომცემელი, ბიბლიოფილი, ქართული კულტურის მოამაგე და მეეხი. იყო მრავალი საინტერესო პუბლიკაციის, ნაშრომის, კრებულის, პიესის, საგამოფენო ვერნისაჟების ავტორი. როგორც ქართული, ისე საკუთრივ ებრაული თემატიკის უამრავი უცნობი და უნიკალური ფაქტი ამოწია მტვერწაყრილი არქივებიდან. თუმცა, მთელი ეს ძალისხმევა მას არ „დაუსაქონლებია“ რაღაც რეგალიებსა და ხარისხებში. სრულიად უანგაროდ იღწვოდა და მამას ეს ღვაწლი ცალკე წერილის თემაა. ამიტომ ამჯერად რამდენიმე ფრაგმენტს შემოგთავაზებთ მისი მოგონებებიდან:

„... ერთხელ, ღრმად მოხუცი პაპამისი, მოსე ბუზუკაშვილი, ოთახში ტახტზე წამოწოლილი „ნინოშვილის გურიის“ რადიოდადგმას უსმენდა. ამასობაში ჩასძინებია. გურული ფირალების სროლის ხმაზე მოსე გაბუას გაღვიძებია და თვალისგახელისთანავე მამაჩემისთვის უთხოვია: არიქა, გაბუ, გადაიხედე ფანჯარაში, ისვრიან და ბოლშევიკები ხომ არ მიდიანო...“

„... ერთ საღამოს, ვახშმობისას თურმე ოჯახში მაუზერიანი ლავრენტი ბერია გამოეცხადათ. გაფითრებულმა გაბუამ ბებიას ძვირფასეულობით სავსე ზარდახშა გამოატანინა. ჩაკეტილი ზარდახშის გასაღები დამეკარგაო, ლუღლუღებდა შეშინებული ბებია. ლავრენტი პავლოვიჩმა მაგიდიდან აღებული დანით ვერცხლის ულამაზესი საკეტი გახსნა და ზარდახშაში ჩაიხედა. მერე კმაყოფილმა მაუზერიანი ხელი ატირებულ მამაჩემს თავზე გადაუსვა და იმ ზარდახშიანად კარებში გაუჩინარდა. რაღაც დროის მერე მამამ ოპერაში ბებიას ერთ-ერთი ყელსაბამი ბერიას მეუღლის, ნინა გეგეჭკორის ყელზე შენიშნა. ეს იყო გაბუას მიერ პარიზიდან ჩამოტანილი უძვირფასესი კოლიე. ხავერდის დეკოლტირებულ კაბაზე ეკეთაო, გვითხრა. წარმოიდგინეთ, რა გრძნობა უნდა დაუფლებოდა ახალგაზრდა ბიჭს, დედამისისთვის წართმეულ სამკაულს სხვა ქალზე რომ ხედავდა, მაგრამ ჩვენთვის ეს არ უთქვამს. ამბის მოყოლა იმით დაასრულა, რომ მწარე ღიმილით დასძინა: ძალიან, ძალიან უხდებოდაო...“

„... ეპიზოდი მამას ბიოგრაფიის მცხეთური პერიოდიდან: ერთხელ იგი ხელმძღვანელობამ დაიბარა და სოფელ წილკანში წასვლა დაავალა - საუფლო დღესასწაული დგება და მოსახლეობამ დაკეტილ ტაძარში შესვლა არ გაბედოსო. მეტი რა გზა იყო, მამაც წავიდა. ტაძრის ეზოში უამრავმა ხალხა მოიყარა თავი საკლავით, ღვინით, პურმარილით, სანთლებით. თუმცა, ტაძრის კარები ტრადიციულად ჩარაზული დახვდათ. მამამ ვერ გაუძლო გაწბილებული წილკნელების ცქერას და სოფლის ხელმძღვანელს ტაძრის კარის გაღება დაავალა. იმანაც ზემოდან გამოგზავნილი კაცის დავალება უსიტყვოდ შეასრულა და კარი გააღო. გახარებულმა წილკნელებმა საოცარი აღტყინებით ილოცეს, იდღესასწაულეს: ზღაპრული სუფრა გაშალეს და დილამდე მოილხინეს.

– შენ ხომ რაიკომიდან გაგგზავნეს, არ შეგეშინდა, ვინმეს რომ დაებეზღებინე? – ვკითხე მამას ამ ამბის გახსენებისას.

– ვის უნდა დავებეზღებინე. ვინც საშიში იყო, საქმეში გავიყვანე: კოლმეურნეობის თავმჯდომარე თამადად დავნიშნე, პარტორგანიზაციის მდივანი – თამადის მოადგილედ. წილკნელები კი რატომ დამაბეზღებდნენ. სათითაოდ მლოცავდნენ: რამდენი წელია, ტაძარში შესვლა არ გვღირსებია, შვილო, შენ გაიხარეო“

თამილა ბუზუკაშვილი

◎ რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

საქართველო-ნატო: დაპირებათა რვა წელიწადი

საქართველო ნატოს ვარშავის სამიტისაგან ელოდება თავისი ევროატლანტიკური პერსპექტივების ურყევობის დადასტურებას. თბილისს იმედი აქვს, რომ ალიანსთან თანამშრომლობის გაღრმავების შედეგად, საფრთხე რომელიც ქვეყნის წინაშე დგას, შემცირდება, უშიშროების დონე კი ამაღლდება.

საქართველოს უკეთესის იმედი აქვს, მაგრამ შეუძლებელს არ ელოდება. ნატოს სამიტის დაწყების დღეს ქვეყანამ კიდევ ერთხელ შეახსენა პარტნიორებს ჩრდილოატლანტიკური ალიანსიდან: ბუქარესტის 2008 წლის ფორუმის გადაწყვეტილება ძალაში უნდა დარჩეს, ქვეყანა კი აუცილებლად გახდეს ბლოკის წევრი. ამის შესახებ განაცხადა პრემიერ-მინისტრმა გიორგი კვირიკაშვილმა მთავრობის სხდომაზე. მინისტრთა კაბინეტის ხელმძღვანელი დარწმუნებულია: ვარშავის შეხვედრების შემდეგ საქართველო დაცული იქნება კიდევ უფრო მეტად.

„საქართველო ელოდება პროგრესის დადასტურებას, რომელსაც მიაღწია სამხედრო რეფორმის თვალსაზრისით და ერთობლივი სამხედრო დანაყოფების მიღწევით ნატოსთან, აგრეთვე ქვეყანაში დემოკრატიის განვითარების შედეგად, რაც მეტად მნიშვნელოვანია. ჩვენ ველოდებით 2015 წლის მინისტერიალის გადაწყვეტილების მორიგ დადასტურებას იმის შესახებ, რომ საქართველოს აქვს ყველა აუცილებელი ინსტრუმენტი ალიანსში შესვლისათვის. ვარშავის სამიტი — მეტად მნიშვნელოვანია ჩვენთვის, და ჩვენ ვფიქრობთ, რომ ამ სამიტის შედეგად არსებული პაკეტი კიდევ უფრო გაფართოვდება, რაც უშიშროებას უზრუნველყოფს საქართველოში კიდევ უფრო მაღალ დონეზე, და იგი კიდევ უფრო მეტად იქნება დაცული“, — თქვა გიორგი კვირიკაშვილმა.

საბაბი ფრთხილი ოპტიმიზმისათვის მთავრობას თითქოს აქვს: მემორანდუმის წინა დღით ამერიკის შეერთებულ შტატებსა და საქართველოს შორის ხელმოწერილი მემორანდუმი უშიშროებისა და თავდაცვის სფეროში აძლევს თბილისს შესაძლებლობას — შეიძინოს თავდაცვის შეიარაღება და აწარმოოს უფრო მეტი სამხედრო სწავლებები ნატოს ქვეყნებთან. ყოველივე ამის დამატებით ვარშავის შეხვედრაზე, როგორც ელოდებიან, ოფიციალურად გამოაცხადებენ ჯარების განთავსების შესახებ თავის აღმოსავლეთ ფლანგზე, რათა დაარწმუნოს თავისი პარტნიორები სრული მზადყოფნის შესახებ დაიცვას ისინი. მაგრამ, რასაც ნამდვილად არ უნდა ველოდოთ ვარშავის სამიტისაგან, ესაა რუსული საფრთხის თავიდან აცილება, აღნიშნავენ ექსპერტები. საკმარისია განა ის ნაბიჯები, რის გადადგმასაც აპირებს ალიანსი მოსკოვის აგრესიული პოლიტიკის შეკავებისათვის? ამბობს ორგანიზაცია „ატლანტიკის საბჭო — საქართველოს“ აღმასრულებელი დირექტორი, სამხედრო ანალიტიკოსი გიორგი მუჩაიძე:

„ნატოს ზოგიერთი კრიტიკოსი ირონიით აღნიშნავს, რომ ალიანსი მხოლოდ გამოხატავს და აფიქსირებს შეშფოთებას, მაგრამ რეალურად არაფერს აკეთებს. მაგალითად, ამ ნაბიჯებით ნატომ კრიტიკოსებს მეტად სერიოზული პასუხი გასცა. ფაქტობრივად, შეიცვალა მთელი სტრატეგია. და ამჟამად საუბარი მიდის არა პოლიტიკურ განცხადებებზე, არამედ კონკრეტულ გადაწყვეტილებებზე, მათ შორის სამხედრო ხასიათის გადაწყვეტილებებზე. და მე დარწმუნებული ვარ, რომ რუსეთი მეტად სერიოზულად ეკიდება ამ ნაბიჯებს და შესანიშნავად ესმის, რომ ნატო მხოლოდ განცხადებებით არ შემოიფარგლება. რუსული აგრესიის შემდეგ მოხდა მეტად სერიოზული ცვლილებები ალიანსის სტრატეგიასა და მოქმედებებში. რაც შეეხება საქართველოს, ამ სამიტის შემდეგ ჩვენ კიდევ წინ წავიწევთ ნატოში შესვლის გზაზე“.

2008 წლის აპრილში ბუქარესტში საქართველოს უკვე დაჰპირდნენ, რომ ქვეყანა აუცილებლად გახდება ყველაზე ძლიერი სამხედრო-პოლიტიკური ბლოკის წევრი, მაგრამ სწორედ რამდენიმე თვის შემდეგ დაიწყო ომი რუსეთთან. მისი შედეგია — რუსული ბაზები აფხაზეთისა და სამხრეთი ოსეთის ტერიტორიებზე, კონტროლის დაკარგვა ტერიტორიის კიდევ ერთ ნაწილზე და ახალი დაპირებები ბრიუსელიდან და ვაშინგტონიდან: აიო, კიდევ ცოტა ხანი და დიდი ხნის ნალოდინარი გეგმა წევრობის შესახებ (მაპი) მოწონებული იქნება და ასე წლიდან წლამდე, რვა წელიწადი ზედიზედ. ახლაც თბილისში ერთი დღის ვიზიტით მყოფმა ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანმა ჯონ კერიმ დაადასტურა, როგორც მინიმუმი: **„საქართველო აუცილებლად გახდება ნატოს წევრი“.**

მაგრამ, აი, როდის? საზოგადოებრივი აზრის უკანასკნელი გამოკითხვები მიუთითებენ საზოგადოებრიობის ერთგვარ გაწბილებაზე მრავალწლიანი დაპირებებით. ქვეყნის ამჟამინდელი კურსის გამო, რომელიც, საერთაშორისო რესპუბლიკური ან ეროვნული დემოკრატიული ინსტიტუტების გამოკვლევების თანახმად, არსებითად ჩამოქვეითდა და საქართველოს მოქალაქეთა უმრავლესობას თითქოს კვლავ სჯერა, რომ ნატო გახდება პანაცეა ქვეყნისათვის და ყოფილი აჟიოტაჟი დღეს პოლონეთის დედაქალაქში გახსნილი სამიტის გამო — უკვე აღარ არის.

„მეტად კარგი იქნებოდა, რასაკვირველია, „შევსულიყავით ნატოში“.

„ჩვენ ვიცით, რომ საფრანგეთი და გერმანია წინააღმდეგი არიან, მაგრამ სიტუაცია უნდა შეიცვალოს. იმიტომ, რომ დაფიქსირდა — ნატოს კარი საქართველოსთვის ღიაა“.

„ვფიქრობ, რომ ეს ცოტა რთულია. იმაზე, რომ ამბობენ, აიო, ხვალ-ზეგო, მე დიდი ეჭვი მაქვს“.

ბევრი ექსპერტი საერთოდ მხარს უჭერს აზრს, რომ საშუალო ვადის პერსპექტივაში თბილისს მოუწევს დაკმაყოფილდეს მხოლოდ მორიგი ბუნდოვანი დაპირებებით. ძალიან ბევრი ფაქტორი უწევს წინააღმდეგობას საქართველოს შესვლას ნატოში, — მიაჩნია პოლიტოლოგ სოლომონ ლებანიძეს:

„თუ სიტუაციას შევადარებთ ჩერნოგორიას, ჩერნოგორიამ თავისი სურვილის შესახებ შევიდეს ნატოში, განაცხადა უფრო გვიან, ვიდრე საქართველომ, პრინციპულად კი იგი უკვე შევიდა. ჩვენ წინა ვართ ყველა პარამეტრის მიხედვით, რაც საჭიროა კანდიდატისთვის, მაგრამ აქ არის პოლიტიკური ქვეტექსტი. ზოგიერთ ცენტრალურ ევროპულ ქვეყანას არ სურს რუსეთის გაღიზიანება. რუსეთის ფაქტორი აუცილებლად უნდა იქნეს გათვალისწინებული, იგი არსებობს. რუსეთი საქართველოს ნატოში შესვლის კატეგორიული წინააღმდეგია, ამით ნატოს პარტნიორები უახლოვდებიან რუსეთის საზღვრებს. და აი გერმანია, საფრანგეთი თავს იკავებენ საქართველოსთვის ნატოს წევრობის მინიჭებაზე. და მათ როგორმე უნდა დაამშვიდონ რუსეთი, ან მთლიანად მოახდინონ მისი უგულებელყოფა. ევროპულ სახელმწიფოებსა და ამერიკის შეერთებულ შტატებს უნდა ჰქონდეთ რესურსი, რომ მოახდინონ რუსეთის უგულებელყოფა. რამდენად არიან ისინი ამისათვის მზად ამჟამად, ევროკავშირში კრიზისის ფონზე, მე არ ვიცი“.

და თუ ღია კონფლიქტი რუსეთსა და ნატოს შორის დარჩება მეტად საალბათოდ, მიაჩნია ექსპერტს, ასევე ნაკლებად საალბათო იქნება უახლოეს პერსპექტივაში რამდენადმე არსებითი მოწესრიგება ურთიერთობებისა მათ შორის. და, მაშასადამე, რისკები საქართველოსთვის უახლოეს მომავალში, ძნელად რომ სერიოზულად შემცირდეს.

Эхо Кавказа
ekhokavkaza.com

დედამიწის ზურგზე

აშშ-ის ფედერალურმა ხელისუფლებამ დაიწყო პოლიციელების მიერ შავკანიანის მკვლელობის გამოძიება

საზოგადოებრივი აღშფოთების ტალღის გამომწვევი ინციდენტი მოხდა ქალაქ ბეტონ-რუჟში: იქ ორმა თეთრმა პოლიციელმა მოკლა აფროამერიკელი, რომელიც მათ დაადგეს იატაკზე, ხოლო ერთ-ერთმა მათგანმა მისი ჩხრეკა დაიწყო.

ავსტრალიაში პატრონების არყოფნის დროს კოალა შევიდა სახლში და სანოლი მიითვისა

გასეირნებიდან დაბრუნებულმა სახლის მცხოვრებლებმა დაუპატიჟებელი სტუმარი აღმოაჩინეს და თავდაპირველად შეეშინდათ კიდეც. გარკვეული პერიოდის განმავლობაში მათ ეშინოდათ შიგნით შესვლა და ქუჩაში იყინებოდნენ. სურათებს კოალას ფანჯრიდან უღებდნენ. მოგვიანებით ეს სურათები ქსელში გაჩნდა.

დალასში აფრო-ამერიკელების მკვლელობის წინააღმდეგ საპროტესტო აქციის დროს ხუთი პოლიციელი მოკლეს

მასობრივი პროტესტები ასევე გაიმართა ჩიკაგოში, ნიუ-იორკსა და ქალაქ სენტ-პოლში, სადაც პოლიციელებმა დახვრიტეს 32 წლის აფროამერიკელი ფილანდო კასტილე. მიტინგის დროს დალასში 20-ზე მეტი სროლის ხმა გაისმა. სნაიპერებმა ცეცხლი გაუხსნეს პოლიციის თანამშრომელთა ჯგუფს.

ტერორისტული აქტი ერაყში მშვიდობიანი მცხოვრებლების დახვრეტით: მინიმუმ 35 კაცი დაიღუპა

ტერორისტული აქტი განხორციელდა ელ-ბალიადის დასახლებულ პუნქტში ბაღდადის ჩრდილოეთით. აფეთქების ხმა გაისმა შიიტი მუსლიმანების მიერ პატივსაცემი მავზოლეუმის ტერიტორიაზე. თავდაპირველად აამოქმედეს ასაფეთქებელი მოწყობილობა, შემდეგ იქ მყოფ ხალხს შეუტია ბოევიკების შეიარაღებულმა ჯგუფმა.

ობამას პოლიტიკას მხარს უჭერენ მრავალ ქვეყანაში, რუსეთის გამოკლებით

სოციოლოგიური გამოკითხვა მოაწყო კომპანია Globescan-მ 18 ათასზე მეტ ადამიანს შორის 18 ქვეყნიდან. რუსეთი აღმოჩნდა ერთადერთი ქვეყანა, რომელშიც ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის საქმიანობას ნეგატიურად აფასებენ. შარშან რუსეთელების უარყოფითი დამოკიდებულება ამერიკის შეერთებული შტატების პოლიტიკისადმი იყო რეკორდული უკანასკნელი რვა წლის განმავლობაში.

გერმანიაში მიიღეს სადავო კანონი პროსტიტუციის შესახებ, რომელმაც სექს-მუშაკი ქალები უნდა დაიცვას

ზომების ახალი პაკეტი აიძულებს მეძავებს გაიარონ რეგისტრაცია და პერიოდულად კონსულტაციაც ჯანმრთელობის დაცვის საკითხებზე, აგრეთვე იგი ზღუდავს საროსკიპოების მეპატრონეებს და სტუმრებს. კანონის კრიტიკოსებს მიაჩნიათ, რომ ახალი ზომები აიძულებენ მეძავებს იმუშაონ არალეგალურად, იგი გამოიწვევს იძულებით დეანონიმაზიაციას და სექს-დაწესებულებათა დახურვას.

ამირანივით ძლიერი და მძლავრი

ცნობილი მეცნიერის **ამირან სხირტლაძის** დაუდგრომელი ბუნებისა და უსაზღვროდ დიდი გულის პატრონის ბიოგრაფია, რაც უნდა შევამოკლოთ, მაინც გრძელი და ნათელი გამოვა. უწინარეს ყოვლისა, ისა ვთქვათ, რომ კაცობის სკოლა მან უკაცოდ დარჩენილ, მაგრამ მაინც ძლიერ და ლამაზ ოჯახში გაიარა. დედამისს, დამსახურებულ პედაგოგს, არაერთი ორდენისა და მედლის კავალერს, მეორე მსოფლიო ომის ვეტერანს სულ მალე დაბადების 100 წლის ულამაზეს იუბილეს რომ იზეიმებს – ქალბატონ ქეთევან ცუცქირიძეს, საკუთარი პირმშოს გარდა, არაერთი ქართველი დაუფრთიანებია და ცხოვრების დიდ გზაზე მტკიცედ დაუყენებია! სახელი კი ბატონ ამირანს მამამ დაანათლა: ფრონტის წინა ხაზიდან მოიწერა – „ჩემს ვაჟკაცს ქართველი დევგმირის სახელი უნდა ერქვასო!“

ასეც აღსრულდა.

სახელი სახელად, ოღონდ ძალა და ჯანი მართლაც რომ ზღაპრული ამირანისა უნდა ჰქონოდა იმ პასუხისმგებლობიან ახალგაზრდას, ვისაც გულში ამოჭრილი ჰქონდა მიზანი – წინ წაწია ოჯახის, სამეგობრო წრის, მთლიანად ქვეყნის საქმე, კისრად ედო პასუხისმგებლობა ერისა და ბერის წინაშე.

გამრჯე ჭაბუკი სწავლის პარალელურად ხან ზეინკლად მუშაობს, ხანაც ხარატობს, ტექნიკოსობს კიდევაც და ზოგჯერ ინჟინერია სხვადასხვა სისტემიდა. ეს „კერკეტი კაკალი“ როდი გატყდა ან გაიბზარა. არა! მან გამოწვევა მიიღო – წარმატებით გაიარა ტესტირება და კონტროლის პალატის მთავარ სპეციალისტად მოგვევლინა. კიდევ მეტი, პარალელურად საგანგებოდ შეისწავლა სახელმწიფო ბიუჯეტის დაგეგმვის, ფინანსური აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტები, საერთაშორისო ფინანსური კონტროლის მექანიზმები და გახდა ამ სფეროს სერტიფიცირებული ექსპერტი. შემთხვევითი როდია, რომ 2007-2014 წლებში სს „კავკასიის განვითარების ბანკი – საქართველოს“ სათავო ოფისში ფინანსების მენეჯერია. ეგ სამუშაო მან მხოლოდ მძიმე ოპერაციის გადატანის შემდეგ დატოვა.

პაატა გუგუშვილი თავის მოწაფეებთან ერთად, II რიგში მარცხნიდან პირველი ამირან სხირტლაძე.

ყოფილ მოკრივე სპორტსმენს, რომელიც წლების განმავლობაში საქართველოსა და საკავშირო ჩემპიონატებზე ჩვენი ნაკრების შემადგენლობაში გამოდიოდა, თავი არასოდეს შეურცხვენია. შესანიშნავად თამაშობდა და თამაშობს ასევე ჭადრაკს. ხშირად ხუმრობს კიდევაც: გონების კუნთებსაც სჭირდება ვარჯიშიო.

არა მარტო მეუღლესა და საყვარელ ქალიშვილს, მთელ ქვეყანას აკვირვებს იმით, რომ დღესაც ინტენსიურად მუშაობს სოციოლოგიურ და დემოგრაფიულ პრობლემებზე. დაუცხრომელმა პიროვნებამ დააფუძნა საერთაშორისო ფონდი „Family“ (ოჯახი). მისი მიზანია შერეული ოჯახების ჰარმონიული განვითარებისათვის ხელის შეწყობა და ერთა დაახლოება-დამოყვრება. ორგანიზაციის დევიზია: „საქართველო, შენ ვინ მოგცა, შვილი დასაკარგავი!“ ფონდი ცდილობს, თვალი მიადევნოს ჩვენი თანამემამულეების მიერ შექმნილ ყოველ შერეულ ოჯახს და მისი რესურსი ქვეყნის განვითარებას მოახმაროს. ფონდს დაარსებული აქვს წარმომადგენლობები ყველა რაიონში. მის საქმიანობაში მონაწილეობენ სახელოვანი მეცნიერები.

სა. პრაქტიკული საქმიანობა ხელს კი არ უშლის, უწყობს კიდეც და იგი სკოლას ოქროს მედალზე ამთავრებს. მუშაობასა და პრაქტიკულ გარჯას არც მაშინ ერიდება, როდესაც პოლიტექნიკური ინსტიტუტის სტუდენტია. სამუშაო სივრცეც ამირანული ჰქონდა: ირჯებოდა კვების მრეწველობის სამინისტროში, შემდგომ – ავტოტრანსპორტის სამინისტროში, თბილისის საქალაქო საბჭოში; 1974-1994 წლებში მოღვაწეობს ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტში (ამჟამად პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტი). ჯერ მეცნიერ-მუშაკია, მოგვიანებით – დირექტორის მოადგილე. ნიჭიერ და პერსპექტიულ სწავლულს მუშაობა უხდებოდა პაატა გუგუშვილის, ავთანდილ გუნიას, ლეო ჩიქავას, გიორგი წერეთლის, გიორგი პაპავას, არჩილ თეთრაულის, ზურაბ სოსელიას, გია თოფურიას, ნოდარ ულუმბერაშვილისა და სხვა გამოჩენილი მოღვაწეების გვერდით.

ყოველთვის პარმონიულად უხამებდა ერთმანეთს პრაქტიკულ საქმესა და თეორიულ აზროვნებას. ამიტომაც არის, რომ გამოქვეყნებული აქვს 30-ზე მეტი მეცნიერული ნაშრომი, 3 კოლექტიური მონოგრაფია, მრავალი სამეცნიერო-პუბლიცისტური წერილი. განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა მის პრაქტიკულ ღვაწლს 1996-2004 წლებში. ამ ხანებში იგი აქტიურად არის ჩართული ქვეყნის ეკონომიკის აღორძინებასა და განვითარებაში, კერძოდ, მოღვაწეობდა ეკონომიკის სამინისტროში. იგი თავდაუზოგავად იღვწოდა სამოქალაქო ომის შედეგად დაზარალებული და მისავათებული ეკონომიკის წელში გასამართავად, გერგილიანად ირჯებოდა თვით სამინისტროს მატერიალურ-ტექნიკური ბაზის აღსადგენად. აქ მან თავი გამოიჩინა, როგორც ფართო თვალსაწიერის მქონე ერუდირებულმა მეურნემ და უმწიკვლო მუშაკმა.

მთავრობას, საბედნიეროდ, ეს მხედველობიდან არ გამოჰპარვია. 2001 წელს იგი დააჯილდოვეს ღირსების ორდენით.

დადგა შავბნელი 2004 წელიც.

ე.წ. „ვარდების რევოლუციის“ შედეგად მოსულმა ფსევდორეფორმატორებმა ეკონომიკის სამინისტროს ყველა თანამშრომელი, განურჩევლად დამსახურებისა და პროფესიონალიზმისა, შინ გაუშვეს.

მაგრამ ბ-ნი ამირანი სხვა ჯიშ-ჯილაგისა გამოდგა. ეს „კერკეტი კაკალი“ როდი გატყდა ან გაიბზარა. არა! მან გამოწვევა მიიღო – წარმატებით გაიარა ტესტირება და კონტროლის პალატის მთავარ სპეციალისტად მოგვევლინა. კიდევ მეტი, პარალელურად საგანგებოდ შეისწავლა სახელმწიფო ბიუჯეტის დაგეგმვის, ფინანსური აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტები, საერთაშორისო ფინანსური კონტროლის მექანიზმები და გახდა ამ სფეროს სერტიფიცირებული ექსპერტი. შემთხვევითი როდია, რომ 2007-2014 წლებში სს „კავკასიის განვითარების ბანკი – საქართველოს“ სათავო ოფისში ფინანსების მენეჯერია. ეგ სამუშაო მან მხოლოდ მძიმე ოპერაციის გადატანის შემდეგ დატოვა.

ყოფილ მოკრივე სპორტსმენს, რომელიც წლების განმავლობაში საქართველოსა და საკავშირო ჩემპიონატებზე ჩვენი ნაკრების შემადგენლობაში გამოდიოდა, თავი არასოდეს შეურცხვენია. შესანიშნავად თამაშობდა და თამაშობს ასევე ჭადრაკს. ხშირად ხუმრობს კიდევაც: გონების კუნთებსაც სჭირდება ვარჯიშიო.

არა მარტო მეუღლესა და საყვარელ ქალიშვილს, მთელ ქვეყანას აკვირვებს იმით, რომ დღესაც ინტენსიურად მუშაობს სოციოლოგიურ და დემოგრაფიულ პრობლემებზე. დაუცხრომელმა პიროვნებამ დააფუძნა საერთაშორისო ფონდი „Family“ (ოჯახი). მისი მიზანია შერეული ოჯახების ჰარმონიული განვითარებისათვის ხელის შეწყობა და ერთა დაახლოება-დამოყვრება. ორგანიზაციის დევიზია: „საქართველო, შენ ვინ მოგცა, შვილი დასაკარგავი!“ ფონდი ცდილობს, თვალი მიადევნოს ჩვენი თანამემამულეების მიერ შექმნილ ყოველ შერეულ ოჯახს და მისი რესურსი ქვეყნის განვითარებას მოახმაროს. ფონდს დაარსებული აქვს წარმომადგენლობები ყველა რაიონში. მის საქმიანობაში მონაწილეობენ სახელოვანი მეცნიერები.

კაცი იმითი ფასობს, რომ თავის ოჯახს კარგად უვლის, ოღონდ, როცა მას მრავალი ოჯახის პატრონობა აქვს გადაწყვეტილი, ჭეშმარიტად ამირანის ძალ-გული სჭირდება.

სწორედ ასეთი ტიტანია ჩვენი ამირანი!

ძვირფასო, მამულიშვილო, ჩვენო მეგობარო ამირან, გილოცავთ დაბადების 75 წლისთავს და გისურვებთ, კვლავაც ძველი შემართებით გეღვაწოთ სამშობლოსა და ხალხის საკეთილდღეოდ!

ღმერთი იყოს ჩვენი ქვეყნისა და თქვენი მფარველი!

უღრმესი პატივისცემით,

აკადემიკოსები: **ვლადიმერ პაპავა, ავთანდილ სილაგაძე;** პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტის დირექტორი, პროფესორი **რამაზ აბესაძე;** სოციოლოგიისა და დემოგრაფიის ინსტიტუტის დირექტორი, პროფესორი **ავთანდილ სულაბერიძე;** საქართველოს სოციალურ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი, პროფესორი **იგორ კვესელავა;** რუსეთის ფედერაციის მეცნიერებათა აკადემიის აკადმიკოსი, პროფესორი **ალბერტ ზარნაძე;** პროფესორები: **რევაზ გოგოხია, მიხეილ ჯიბუტი, ნუკრი ზაქარიაძე, ელგუჯა მექვაბიშვილი, რომან ხარბედია, გურამ ხასია, მიხეილ თოქმაზიშვილი, თემურ ბერიძე, მერაბ კაკულია, გიორგი ჩიქავა, ალექსანდრე სიჭინავა, პარმენ ლემონჯავა, როლანდ სარჩიმელია, კარლო ღურწკაია, რევაზ შენგელია, კლიმენტი აჩელაშვლი, მურმან კვარაცხელია, ბონდო ზარნაძე, მალხაზ ცისკარიშვილი, დათო პაქსაშვილი, ლინა დათუნაშვილი, იზოლდა აბაშიძე, ირინა დადვანი** და სხვ.

წარმატებული სეზონის ბოლო აკორდი

ქუთაისის ოპერისა და ბალეტის თეატრი 47-ე სეზონს ზაქარია ფალიაშვილის „აბესალომ და ეთერით“ დახურავს

15 ივლისს 19 საათზე ქუთაისის მელიტონ ბალანჩივაძის სახელობის ოპერისა და ბალეტის პროფესიული სახელმწიფო თეატრი (სამხატვრო ხელმძღვანელი – ირინე ლომინაძე) 47-ე თეატრალურ სეზონს უკვდავი „აბესალომ და ეთერით“ დახურავს.

ამ დადგმის პრემიერა შარშან 19 დეკემბერს გაიმართა. ოპერის დამდგმელი ჯგუფი ცნობილი ხელოვანებისგან შედგებოდა: დირიჟორი – რევაზ ჯავახიშვილი, რეჟისორი – მაია გაჩეჩილაძე, მხატვარი – თემურ არსენიძე, ქორეოგრაფები – ვახტანგ უშვერიძე და კოტე დოლაბერიძე, კოსტიუმების მხატვარი – გიორგი ალექსი-მესხიშვილი.

საპრემიერო სპექტაკლის წარმატებაზე ის შეფასებებიც მეტყველებს, რომლებიც ჟურნალ „მუსიკაში“ გამოქვეყნდა – **„თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელის, ცნობილი ქორმაისტერის, ნიჭიერი, გულანთებული მუსიკოსის ირინე ლომინაძის შემოქმედებითი ენერგია, პროფესიული მომთხოვნელობა და ორგანიზატორული ალღო სასიკეთოდ წაადგება ქუთაისის საოპერო თეატრს, რომელიც დიდი პასუხისმგებლობით მოეკიდა ახალ დადგმას და წარმატებით გაართვა თავი საკმაოდ რთულ შემოქმედებით ამოცანებს. დარბაზში თავმოყრილი აუდიტორია გაიტაცა ერთგულმა სულისკვეთებით აღბეჭდილმა, მონოლითურმა და შთამბეჭდავმა წარმოდგენამ. ზაქარია ფალიაშვილის მუსიკას მთელი არსებით ერწყმიან სპექტაკლის მონაწილეებიც. მათ გაითავისეს თავიანთი გმირების ცხოვრება. ეს ეხება როგორც თეატრის წამყვან, გამოცდილ მომღერლებს, ისე ნიჭიერ ახალგაზრდებს“** (საქ. მუსიკალური საზოგადოების თავმჯდომარე, მუსიკათმცოდნე **მანანა ახმეტელი**).



საქართველოს კომპოზიტორთა კავშირის თავმჯდომარის, კომპოზიტორ **კახა ცაბაძის** შეფასებით: **„პრემიერას შეგვიძლია წარმატებული ვუწოდოთ, რაც ძალზე სასიხარულოა. რეჟისორ მაია გაჩეჩილაძის და მხატვარ თემურ არსენიძის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ ჩვენ ვიხილეთ სწორედ იმგვარი „აბესალომი“, რომელიც კიდეც შეესატყვისება ჩვენს წარმოსახვას და ამავე დროს, სიახლითაც გამოირჩევა. შემოქმედებითი ჯგუფიდან გამოვყოფ დირიჟორ რევაზ ჯავახიშვილის მიერ გაწეულ შრომას, გუნდის სათანადო დონეს, რომლის გარეშეც წარმოუდგენელია ამ ოპერის ადეკვატური განხორციელება.“**

47-ე თეატრალურ სეზონში ქუთაისის მელიტონ ბალანჩივაძის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრმა არაერთ სპექტაკლსა და კონცერტზე მიიწვია აუდიტორია, ათეულობით მუსიკალურ ღონისძიებასაც უმასპინძლა, მათ შორის, რამდენჯერმე შესრულდა ზაქარია ფალიაშვილის „დაისი“, ვიქტორ დოლიძის „ქეთო და კოტე“, ოთარ თაქთაქიშვილის „მინდია“, რევაზ ლაღიძის „ლელა“, ვანო გოკიელის „წითელქუდა“, დიდი წარმატებით ჩატარდა კონცერტები თეატრის სოლისტების, გუნდისა და ორკესტრის მონაწილეობით; იყვნენ გასტროლიორებიც, მათ შორის გამორჩეული იყო კონცერტი საერთაშორისო აღიარების მქონე ქართველი ტენორის, ბათუმის სახელმწიფო მუსიკალური ცენტრის სოლისტის **ირაკლი კახიძისა** და ცნობილი ფრანგი სოპრანოს **კრისტელ დი მარკოს** მონაწილეობით, რომელსაც ქუთაისის საოპერო თეატრის მთავარი დირიჟორი **რევაზ ჯავახიშვილი** დირიჟორობდა.

და მაინც, ამ ფონზეც, ცხადია, უმთავრესი იყო პრემიერები – როგორც აღინიშნა, 19 დეკემბერს დიდი წარმატებით შედგა ზაქარია ფალიაშვილის ოპერის, ქართული მუსიკის მარგალიტის „აბესალომ და ეთერის“ პრემიერა, 3 ივნისს კი, მაყურებლის სამსჯავროზე წარდგენილი იყო ოთარ თაქთაქიშვილის ლირიკულ-კომიკური ოპერის „პირველი სიყვარულის“ აღდგენილი, განახლებული ვერსიის პრემიერა, რომელმაც საყოველთაო მოწონება დაიმსახურა.

ვფიქრობ, ზემოთ მოყვანილი შეფასებები შემოქმედებითი აღმასვლის მასტიმულირებელია, რაც, ვფიქრობთ, ნათლად წარმოჩნდება მომავალ 48-ე თეატრალურ სეზონშიც, რომლის მანძილზე მრავალი სიურპრიზი ელოდება ქუთაისის ოპერის თეატრის მსმენელებს.

ზურაბ ოიკაშვილი.



◎ ევრო – 2016



გამარჯვებულებს არ ასამართლებენ

გამართლდა სპეციალისტთა პროგნოზი – გომესის, ხედირასა და, განსაკუთრებით, დაცვის ბურჯის ჰუმელსის არყოფნა გერმანიის ნაკრებისთვის აუნაზღაურებელი დანაკლისი აღმოჩნდა.

ხომ გსმენიათ, გაჭირვებულს ქვა აღმართში დაეწიაო, ისე დაემართათ მსოფლიოს მოქმედ ჩემპიონებს 65-წუთზე, როცა შესაცვლელი გახდა კუნთგაწყვეტილი ბოატენგი. სწორედ მისმა ტრავმამ დააჩქარა კვანძის გახსნა – მალე პოგბას ინდივიდუალურ შედევრს ნოიერის საბედისწერო შეცდომა და გრიზმანის „დუბლი“ მოჰყვა – 2:0. ამ გოლებით „ატლეტიკოს“ ლიდერი 6 გატანილი ბურთით სოლიდური უპირატესობით დაწინაურდა ფრანგული ფორუმის ბომბარდირთა დავაში,



ხოლო მასპინძლებმა ფინალისკენ გაიკვლიეს გზა, სადაც ხვალ პორტუგალიას შეებმებიან.

არადა, ნაადრევ ფინალად მიჩნეული ნახევარფინალის პირველი ტაიმი „სამფეროვნებმა“ ძირითადად საკუთარ ნახევარზე გაატარეს, რადგან მეტოქემ მინდვრის ცენტრში პირწმინდად დაჯაბნა და ოპერატიული სივრცეები შეუზღუდა.

კაცმა არ იცის, როგორ განვითარდებოდა მოვლენები, შესვენების წინ იტალიელ მსაჯ რიცოლის შვაინშტაიგერის „ცელქობა“ რომ არ შეენიშნა და სტუმრები პენალტით არ დაესაჯა – ბუნდესმანშაფტის კაპიტანმა ხელით კი ითამაშა, მაგრამ აპენინელის ყველა კოლეგა როდი გამოიტანდა ანალოგიურ სიტუაციაში ასეთ ვერდიქტს.

სხვათა შორის, მისგან სასტვენს მეორე გოლის წინაც ელოდნენ, როცა ჟირუ მაღლი ბურთისთვის ბრძოლაში ნოიერს შეეჯახა, მაგრამ...

მოკლედ, ფრანგებმა 1958(!) წლის შემდეგ პირველად მოუგეს ოფიციალური შეხვედრა ალემანებს და მესამე ტიტულს გაეთამაშნენ.

* * *

ევროპის ლიგა. | საკვალიფიკაციო ეტაპი. საპასუხო მატჩები.

„სამტრედია“ – „გაბალა“ 2:1 (1:5),

„შირაკი“ – „დილა“ 1:0 (0:1, პენალტებით – 4:1).

გიორგი ზოთაძე

◎ ოლიმპიური ჩემპიონი

ოცნება ბარსელონაში ასრულდა



დაიბადა 1964 წლის 5 ივლისს თბილისში. თავისუფალი სტილით ჭიდაობა (100 კგ) 12 წლისამ დაიწყო ვანო ნიკოლაძისა და ლადო მესტვირიშვილის ხელმძღვანელობით. 1992 წელს ბარსელონაში ოლიმპიური ჩემპიონი გახდა, სეულში (1988) მსგავს შეჯიბრებაში ვერცხლის მედალი დაიმსახურა. მსოფლიოს ჩემპიონატებზე ხუთი ოქროს (1985, 1987, 1990, 1991, 1993) და ერთი ბრინჯაოს მედალი (1995) მოიხვეჭა, ოთხგზის ევროპის ჩემპიონსა (1985, 1987, 1988, 1992) და მსოფლიოს თასის მფლობელს (1991) თითოჯერ ჭაბუკებსა და ახალგაზრდებში აქვს მსოფლიოს ჩემპიონობა მოპოვებული; საბჭოთა კავშირის სამგზის ჩემპიონმა (1985, 1987, 1988) ერთხელ საბჭოთა კავშირის ხალხთა სპარტაკიადასა (1986) და ექვსჯერ თბილისის საერთაშორისო ტურნირებზე გაიმარჯვა (1985-1990), რამდენჯერმე გერმანიის, ბულგარეთის, პოლონეთისა და სხვა ქვეყნების საერთაშორისო ტურნირები მოიგო. დაამთავრა თბილისის სახელმწიფო ფიზკულტურის ინსტიტუტი, ჰყავს მეუღლე და ხუთი შვილი. საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტი და საქართველოს პარლამენტის სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა კომიტეტის თავმჯდომარეა.

ის იყო, ბოლო ორთაბრძოლაც დასრულდა და მედალოსნებს დასაჯილდოებლად უხმეს, კვარცხლბეკზე ამსვლელები კი აგვიანებენ. შეშფოთდნენ ორგანიზატორები. ყველაფერი წამებშია გათვლილი, ფალავნები კი პოდიუმზე არ ჩანან.

– რა ხდება? – იკითხა ერთ-ერთმა მაღალჩინოსანმა.

– მე საქართველოდან ვარ, ფლაგშტოკზე კი რუსული დროშა ჰკიდია. ქართული დროშით თუ არ შეცვლით, დასაჯილდოებლად არ გავალ, – ისე მტკიცედ თქვა ბრგე ვაჟკაცმა, რომ აშკარა იყო, პირობას თუ არ შეასრულებდნენ, იგი თავის სიტყვას არ გადათქვამდა.

რამდენიმე წუთში ყველაზე მაღლა საქართველოს სამფეროვანი დროშა მიფრიალებდა, ის ფალავანი კი ლერი ხაბელოვი გახლდათ. თბილისელმა ჭაბუკმა, რომელიც ბარსელონის ოლიმპიურ თამაშებზე ოთხ-ოთხგზის მსოფლიოს და ევროპის ჩემპიონის ტიტულით ჩავიდა, ზედიზედ დაამარცხა თურქი ალი ქაიალი (2:0), სამხრეთაფრიკელი იოჰანეს ჰერმანუს როუსკი (8:1), ბულგარელი მიროსლავ მაკაველევი (3:0), უნგრელი შანდორ კიში (6:0), პოლონელი ანჯეი რადომსკი (5:0), გერმანელი ჰეიკო ბალცი (2:1) და ოლიმპიური ჩემპიონობა მოიპოვა.

ყველაფერი კი 1974 წელს დაიწყო. 12 წლის ავჭალელი ჭაბუკი, რომელიც მშობლების სურვილით მუსიკაზე დადიოდა და ჩასაბერ ინსტრუმენტებზე უკრავდა, ბიჭებმა ერთ დღეს საჭიდაო დარბაზში წაიყვანეს. მოეწონა თანატოლების მიერ ხალიჩაზე დანთებული ცეცხლი, ელვისებური ფანდები. თავადაც მოუნდა, მოჭიდავე გამხდარიყო. მეორე დღეს დამალული ფორმით დარბაზს ეწვია.

– წელიწადიც არ მქონდა ნავარჯიშები, თბილისის მოსწავლეთა პირველობაზე მეორე ადგილი რომ დავიკავე. ის ერთი შეხვედრა შემთხვევით წავაგე. მაშინ ვთქვი, ასეთ ბავშვურ შეცდომას აღარ დავუშვებ-მეთქი, მაგრამ პირობა სამჯერ დავარღვიე, – გვითხრა ლერი ხაბელოვმა.

– პირველად 1985 წელს...

– დიახ, ერევანში, საბჭოთა კავშირისა და ამერიკის თავისუფალი სტილით მოჭიდავეთა ამხანაგური შეხვედრისას. მაშინ უკვე ჭაბუკებსა და ახალგაზრდებში მსოფლიოს ჩემპიონი ვიყავი, გამოცდილებაც მქონდა. ოკეანისგაღმელ სევერინს შევხვდი, ზედიზედ შვიდი ქულა ავართვი და საქმე მომთავრებულად მივიჩნიე. სწორედ მაშინ დამიცდა ფეხი – მეტოქე გააქტიურდა და 8:7 მომიგო. დაუდევრობისთვის ნაკრების მწვრთნელები გამიბრაზდნენ – ეს უნდა იყოს საბჭოთა გუნდის წევრობის კანდიდატიო?! თბილისში დაბრუნებული ისეთი გულგატეხილი ვიყავი, ჭიდაობისთვის თავის დანებება მინდოდა. მამასთან თავი ვიმართლე – შემთხვევით წავაგე-მეთქი. თუ ასეა, თბილისის ტურნირზე დამტკიცეო შენი ძალა, – შემაგულიანა. დრო ცოტა იყო დარჩენილი, მაგრამ მწვრთნელებთან – ვანო ნიკოლაძესა და ლადო მესტვირიშვილთან დღე და ღამეს ვასწორებდი. პირველ წრეში ასლან ხადარცევს ვძლიე, მერე კიდევ ოთხ ძლიერ მოჭიდავეს ვაჯობე, ფინალში კი პიოტრ ნანიევი დავამარცხე. ტურნირზე გამარჯვებამ საკავშირო ნაკრებისკენ გამიხსნა გზა...

იოლი არ ყოფილა ლერი ხაბელოვისთვის პირველი ნაბიჯები საერთაშორისო სარბიელისკენ, რადგან მაშინ 100 კილოგრამ წონით კატეგორიაში ერთმანეთს ეცილებოდნენ საბჭოთა საჭიდაო სკოლის კორიფეები – ოლიმპიური თამაშების, მსოფლიოს და ევროპის ჩემპიონი ილია მატე, ტიტულოვანი ფალავნები – პიოტრ ნანიევი, ასლანბეკ ბისულთანოვი, ასლან ხადარცევი და სხვები, რომლებიც თბილისელ ჭაბუკზე უფროსებიც იყვნენ და გამოცდილებიც. ხაბელოვს სწორედ მათთან ჭიდილში უნდა დაემტკიცებინა საკუთარი ამბიციების საფუძვლიანობა და გზა გაეკვლია ნაკრებისკენ იქ ადგილის დასაბევებლად.

თბილისის საერთაშორისო ტურნირზე მიღწეული წარმატების შემდეგ საკავშირო ნაკრების მწვრთნელებმა ლერი ხაბელოვი უყოყმანოდ წაიყვანეს ევროპის ჩემპიონატზე, რომელსაც ლაიფციგმა უმასპინძლა.

– 100 კილოში ორთაბრძოლები 8 მაისს, ხოლო მძიმეში პაექრობები 9 მაისს უნდა გამართულიყო. რადგანაც დათო გობეჯიშვილი უცილობელი ფავორიტი იყო, ასპარეზობის ორგანიზატორებმა გადაწყვიტეს, მძიმეწონოსანთა შეხვედრები 8 მაისს გამართათ, 9-ში ფაშისტურ გერმანიაზე გამარჯვების დღეს კი თავად უნდოდათ წარმატება ეზეიმათ, რადგან დარწმუნებული იყვნენ, რომ მათს კერპ უვე ნოიპერტს ვერავინ აჯობებდა. რვაში გობეჯიშვილი მართლაც შეუდარებელი იყო და კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ავიდა, მეორე დღეს კი ჩემი ჯერი დადგა...

ცხადია, საბჭოთა ნაკრების მესვეურებმაც კარგად იცოდნენ, თუ რას ნიშნავდა მასპინძელთა ხრიკები, ამიტომ ლერი ხაბელოვს აგრძნობინეს – მომავალ შეჯიბრებებში მონაწილეობა თუ გინდა, ევროპის ჩემპიონატი უნდა მოიგოო. დებიუტანტმა იმედები გაუმართლა მწვრთნელებს: თავიდან დამაჯერებლად აგროვებდა ქულებს. მერე სიტუაცია შეიცვალა – მასპინძელი გააქტიურდა, მშვილდივით მოღუნა მეტოქე, მარწუხებში მოიქცია და სადაცაა, ბეჭებზე უნდა დაეცა. მაგრამ ხაბელოვმა არაადამიანური ძალა მოიკრიბა და ნოიპერტი ხალიჩაზე დაანარცხა. ხალიჩიდან გასვლისას იარიგინს ჩაულაპარაკა - მგონი, ნეკნი გამიტყდაო. მართლაც, მეტოქეს შებოჭვისას ხაბელოვისთვის ორი ნეკნი ჩაემტვრია.

– 1985 წელს თქვენ მსოფლიოს ჩემპიონატიც მოიგეთ. რეაბილიტაცია როგორ მოასწარით?

– ორი თვე არ მივარჯიშია. ტრავმა მოვიშუშე თუ არა, წვრთნა განვაგრძე. მსოფლიომდე საბჭოთა კავშირის ჩემპიონატის ფინალში ასლან ხადარცევს ვძლიე. მერე ბუდაპეშტში მსოფლიოს ჩემპიონატის კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ასვლა არ გამჭირვებია.

1987 წელს საბჭოთა კავშირის ჩემპიონატზე ლერი ხაბელოვი კრასნოიარსკელ ატავოვს დაუპირისპირდა. მე-15 წამზე ჰაერში აიტაცა ციმბირელი და ხალიჩაზე დაანარცხა. ატავოვს სიმწრისგან სახე დაემანჭა. სხვები ამ შემთხვევით ისარგებლებდნენ და მეტოქეს შებოჭავდნენ სუფთა გამარჯვების მისაღწევად, ხაბელოვმა კი დამნაშავესავით ხელები გაშალა – რა ჩემი ბრალიაო. მიხვდა, რომ მეტოქემ მუხლი დაიზიანა. ატავოვს მიუახლოვდა, წამოდგომასა და ხალიჩიდან გამოსვლაში დაეხმარა. გულშემატკივრებმა ავჭალელი ჭაბუკი მქუხარე ტაშითა და ოვაციებით დაავჯილდოვეს.



1988 წლის სეზონში თითქმის ყველაფერი გადაწყვეტილი იყო, მაგრამ ნაკრების ხელმძღვანელებმა კიდევ ერთხელ შეამოწმეს ლერი ხაბელოვის საოლიმპიადე მზადყოფნა – ევროპის ჩემპიონატზე წაიყვანეს. მანაც ტრიუმფით განვლო ეს შეჯიბრება – ქულაც არ დაუკარგავს, ისე მოიპოვა ოქროს მედალი, თანაც ნახევარფინალში რუმინელი ვასილე პუშკაშუს დამარცხებას მხოლოდ 14 წამი მოანდომა. სწორედ პუშკაშუსთან ჭიდაობა გახდა ლერი ხაბელოვისთვის სეულის ოლიმპიადაზე ყველაზე დიდი იმედგაცრუება.

– კორეის დედაქალაქში ასპარეზობის დაწყებამდე სამი საათით ადრე საკავშირო ნაკრების ერთ-ერთმა მწვრთნელმა არტემიევმა მოსათელად ხალიჩაზე მიხმო, – იხსენებს ოლიმპიური ჩემპიონი. – თუმცა, ვფიქრობ, ამის საჭიროება სულაც არ იყო. მეც დავთანხმდი და მოხდა ის, რასაც ვერავინ წარმოიდგენდა: ვარჯიშისას დაცვარულ ხალიჩაზე ფეხი გამისრიალდა და ბარძაყის კუნთი გავიწყვიტე. გამაყუჩებლებით გავდიოდი საჭიდაოდ. საშინელ ტკივილს ვგრძნობდი, მაგრამ ჯგუფში ყველა მეტოქეს ვძლიე, მათ შორის – უვე ნოიპერტს და ფინალში გავაღწიე, იქ კი წინა დღეს პირველი ჯგუფის გამარჯვებული რუმინელი პუშკაშუ მელოდებოდა. მან პროგრამა – მაქსიმუმი შეასრულა და გახარებული იყო. როგორც მითხრეს, მეგობრებთან კათხა ლუდიც დაულევია და ფინალში ჭიდაობას არც აპირებდა. არც არის გასაკვირი – მგონი, მასთან რვა შეხვედრა მქონდა მოგებული საერთო ანგარიშით 65:0, თანაც ორჯერ გასამარჯვებლად 12 და 14 წამი ვიკმარე. ასე რომ, ვერც ერთი კრიტერიუმით კარპატელი ვერც მომიახლოვდებოდა. ეტყობა, ამან ფსიქოლოგიურად ცუდად იმოქმედა ჩემზე, გაუსაძლისმა ტკივილმაც შემიშალა ხელი, თუმცა, მიმაჩნია, რომ ტრავმაზე მეტად მეტოქის შეუფასებლობამ დამაღალატა. რომ ნახა, ნოიპერტთან ჭიდაობის შემდეგ ცალი ფეხით გამოვედი ხალიჩიდან, პუშკაშუს იმედი მიეცა და თავისი შანსი გამოიყენა. ერთ-ერთ მომენტში ქულა ამართვა, რაც ჩემპიონობისთვის საკმარისი აღმოჩნდა.

– და მაინც, ოთხი წლის შემდეგ ოცნება აისრულეთ...

– დიახ, ბარსელონაში – 1992 წელს. იქ ფინალური შეხვედრა გერმანელ ბალცს მოვუგე. მთელი ორთაბრძოლის განმავლობაში რაციონალურად გავანაწილე ძალები და მინიმალური ანგარიშით ვძლიე მეტოქეს. ხშირად მეკითხებიან, იმ ორთაბრძოლისას ასე რატომ ფრთხილობდიო. ოლიმპიური ჩემპიონობის მოპოვების შანსი ერთხელ ხელიდან გავუშვი, სეულში საბედისწეროდ შევცდი, ამიტომ ბარსელონაში რისკისა და შეცდომის დაშვების უფლება აღარ მქონდა.

ლერი ხაბელოვი აქტიურ სპორტს 1996 წელს ჩამოშორდა. იმუშავა სხვადასხვა პასუხსაგებ თანამდებობაზე. დღეს სეოკ-ის პრეზიდენტი და საქართველოს პარლამენტის სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა კომიტეტის თავმჯდომარეა. ბედნიერია იმით, რომ ქართველმა სპორტსმენებმა 2016 წლის ოლიმპიადისთვის სარეკორდო ლიცენზიები მოიპოვეს. რიოს თამაშებზე 40 ჩვენებური იბრძოლებს ჯილდოებისთვის. სეოკ-ის პრეზიდენტს სჯერა, რომ ბრაზილიაში ქართული დროშა არაერთხელ აფრიალდება.

ვაჟა დანელია

◎ სულიერება

წმინდა გიორგი მთაწმინდელი

10 ივლისს საქართველოს წმინდა მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესია მოიხსენიებს წმინდა გიორგი მთაწმინდელს.

...წმინდა გიორგი მთაწმინდელი წარმოშობით სამცხიდან იყო. მშობლები ღვთისმოსავნი, ერთგული ქრისტიანები იყვნენ. მამამ ათი წლის გიორგი ხახულის მონასტერში, თავის ორ ძმას — ღირს გიორგი მწერალს და საბა ხახულელს ჩაბარა აღსაზრდელად. ბიძებმა ყოველგვარი სიკეთით შემკული ძმისწული ხახულის მონასტრის წინამძღვარს, მოღვაწეობითა და სიწმინდით განთქმულ ღირს მაკარი მმარხველს მიჰგვარეს.

იმდენად დიდი იყო მოღვაწეობის სურვილი, გიორგი იერუსალიმში გაემგზავრა. იქიდან მისმა მოძღვარმა ათონზე გაგზავნა... ათონის მთაზე გიორგიმ საღმრთო წერილებისა და წიგნების თარგმანებსაც მიჰყო ხელი და მალე მთელი საძმოს წინამძღვარიც შეიქნა...

ნიშანდობლივია ისიც, რომ ღვთისმოყვარე ბაგრატ მეფე ხშირად სთხოვდა მამა გიორგის საქართველოში ჩამოსულიყო სამოღვაწეოდ... ნეტარი მამა ჯერ უარობდა, მაგრამ ბოლოს, როცა „სრულქმნა თარგმანებაი საღმრთო წიგნითაი“, აღასრულა მეფის და კათოლიკოსის სურვილი. ხუთი წლის შემდეგ მამა გიორგი ისევ მთაწმინდაზე დაბრუნდა. ქართველთა მნათობმა წინასწარ იგრძნო აღსასრულის მოახლოება... ათონელმა მამებმა წმინდანის გვამი ათონზე გადაასვენეს, როგორც მაშენებელი და შემამკობელი ეკლესიათა.

მღვდელმოწამე კირიონ II სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი

10 ივლისს ასევე მოიხსენიებენ კათოლიკოს-პატრიარქს კირიონ II, ერობაში გიორგი საძაგლიშვილს (1855-1918 წ.)

კირიონ II, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, საზოგადო მოღვაწე, მკვლევარი-მეცნიერი, წერდა „ივერიელისა“ და „ნიქოზელის“ ფსევდონიმით. 1869 წელს ის შევიდა თბილისის სასულიერო სემინარიაში, რომელიც დაასრულა 1876 წელს და სწავლა განაგრძო კიევის სასულიერო აკადემიაში... მოგვიანებით კირიონ II საქართველოში ბრუნდება და მაშინათვე მეფისდროინდელმა რუსეთმა დაუწყო აშკარა დევნა.

საგულისხმოა ის, რომ კირიონ II განსაკუთრებული ღვაწლი დადო ქართული ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენის საქმეს... განსაკუთრებული პოპულარობა მოუტანა მას მის მიერ გელათში (მონასტერში) ნაპოვნმა „კორიდეთის ოთხთავმა“. კირიონ II დიდ მზრუნველობას იჩენდა ახალგაზრდობისადმი. მას დიდი ღვაწლი მიუძღვის ქართული კულტურისა და მეცნიერების საქართველოს ფარგლებს გარეთ გატანისა და მისი პოპულარიზაციის საქმეში.

გიული ლიპარტია

ტრაგედია მარტვილში

მარტვილში, მდინარე აბაშისწყალში გაუჩინარებული 17 წლის ბიჭის გვამი მდინარემ გამორიყა.

დაკარგული მოზარდის ძებნისას კერძო მყვინთავი დაიღუპა, რომელიც ოჯახმა საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტოს მაშველების გამოძახებამდე დაიქირავა.

საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტოს პრესსამსახურის ინფორმაციით, უწყებას ოჯახმა მხოლოდ მას შემდეგ მიმართა, რაც კერძო მყვინთავიც გაუჩინარდა.

საძიებო სამუშაოებში შინაგან საქმეთა სამინისტროს საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტოს 40-კაციანი მაშველთა ჯგუფი მონაწილეობდა.

მოზარდი, მდინარეში ხიდიდან გუშინწინ გადახტა.

სუიციდი ქვემო ქართლში

ქვემო ქართლში ორმა ახალგაზრდა მამაკაცმა თავი ჩამოიხრჩო.

ორივე ფაქტი ხუთშაბათს მოხდა. არსებული ინფორმაციით, ორივე მამაკაცი 40 წლამდე ასაკისაა.

როგორც მედიანიუსს შინაგან საქმეთა სამინისტროში განუცხადეს, ერთი შემთხვევა გარდაბანში მოხდა, მეორე კი — თეთრწყაროში.

საოჯახო ტიპის სახლებსა და მიუსაფართა თავშესაფრებს პატრონი გამოუჩნდათ

სოციალური სააგენტოს დირექტორმა ზაზა სოფრომაძემ და ლიბერთი ბანკის გენერალურმა დირექტორმა ალექსი ხუროშვილმა ურთიერთთანამშრომლობის შესახებ მემორანდუმს მოაწერეს ხელი.

მემორანდუმის ფარგლებში ლიბერთი ბანკი მიმდინარე წლის 1 ივლისიდან 31 დეკემბრის ჩათვლით, საქართველოს ტერიტორიაზე არსებული ორმოცდაათი მცირე საოჯახო ტიპის სახლის და მიუსაფართა თავშესაფრის მიერ მოხმარებული ელექტროენერგიისა და ბუნებრივი აირის საფასურის სრულ ანაზღაურებას უზრუნველყოფს.

მცირე საოჯახო ტიპის სახლებში სახელმწიფო მზრუნველობაში მყოფი 325 ბავშვი ცხოვრობს, მიუსაფარ ბავშვთა თავშესაფრები კი თბილისსა და რუსთავში ფუნქციონირებს,სადაც ყოველდღიურად მომსახურებას ქუჩაში მცხოვრები და მომუშავე 60-მდე ბავშვი იღებს. ბავშვები საბაზისო საჭიროებების დაკმაყოფილების გარდა, ასევე იღებენ ისეთ მომსახურებებს, როგორიცაა ფსიქოლოგიური დახმარება, ფორმალურ განათლებაში ხელშეწყობა, კულტურულ და სპორტულ-გამაჯანსაღებელ აქტივობებში ჩართვა, პროფესიული და სახელობო უნარ-ჩვევების განვითარება.

ახალი ხეხილის ბაღი შიდა ქართლში

შიდა ქართლის მაცხოვრებელმა კონსტანტინე დავითაშვილმა აგროპროექტ „დანერგე მომავლის“ ფარგლებში ახალი ხეხილის ბაღი გააშენა.

სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტოს აგროპროექტ „დანერგე მომავლის“ მენეჯერმა ლევან დოლიძემ და შიდა ქართლის გუბერნატორის ადმინისტრაციის რეგიონული პროექტების კოორდინირების სამსახურის უფროსმა გიორგი ბუგიანიშვილმა, შიდა ქართლში, ქარელის რაიონის სოფელ აფნისში პროგრამაში მონაწილე ერთ-ერთი ბენეფიციარის კონსტანტინე დავითაშვილის ბაღის გაშენების პროცესი დაათვალიერეს. კონსტანტინე დავითაშვილი პროგრამაში 2016 წელს ჩაერთო და 15.1 ჰექტარზე ბლის ბაღის გაშენებისათვის და სარწყავი სისტემის მოწყობისთვის 100 000 ლარის სახელმწიფო დაფინანსება მიიღო. მიღებული დაფინანსებიდან 68 040 ლარი ნერგებზე, ხოლო 31 960 ლარი წვეთოვანი სისტემებისთვის იყო განკუთვნილი.

შიდა ქართლში: გორის, ქარელის, კასპის და ხაშურის რაიონებში 603 ჰა მიწის ფართობზე წლის ბოლომდე ვაშლი, ქლიავი, ატამი, ბალი და ნუში გაშენდება. ხოლო უშუალოდ საოკუპაციო ხაზის მიმდებარე სოფლებში აგროპროექტ „დანერგე მომავლის“ ფარგლებში 17-მა ბენეფიციარმა უკვე 91 ჰა. ახალი ხეხილის ბაღების გაშენებისა და სარწყავი სისტემის მოწყობისთვის მთელი საქართველოს მასშტაბით გაშენებული ფართობი 1470 ჰა-ს, ხოლო დაფინანსების მოცულობა 7.7 მილიონ ლარს აღემატება.

მეუღლე ნელი, შვილები კახა, დევი, რძლები ეკა დოჯურიშვილი, ლიკა ჯაფარიძე, შვილიშვილები ალექსანდრე, ანა, მარიამი, სოფიო, ანასტასია, ანდრია, შვილთაშვილები დათა, სანდრო, სიძე ირაკლი მაცაბერიძე, დეიდაშვილები გივი, ნეტა ქართველიშვილები, მამიდაშვილი ლილი, ბიძაშვილები ნინო, დათო ჯავახიშვილები ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

მაკრი ზალდასტანიშვილი

პანაშვიდი 7, 8 VII, გამოსვენება 9 VII, 15 სთ. მის. ვაჟა-ფშაველას 5. სად. ბინა 44.

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობა და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო სამძიმარს უცხადებენ ბატონ შევაზ წარიას დედის

ტატიანა სანიკიძე-წარიას

გარდაცვალების გამო.

განცხადება

შპს საქართველოს ხარისხის მართვის სასწავლო უნივერსიტეტი 2016 წლის 11 ივლისიდან აცხადებს კონკურსს აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად ბიზნესის მართვის და სასურსათო ტექნოლოგიის საბაკალავრო და სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამებზე:

1. სრული პროფესორი

ეკონომიკის მიმართულებით — 2 ვაკანსია
ფინანსების მიმართულებით — 2 ვაკანსია
მენეჯმენტის მიმართულებით — 2 ვაკანსია
მარკეტინგის მიმართულებით — 2 ვაკანსია
მეღვინეობის მიმართულებით — 1 ვაკანსია
ქიმია-ბიოლოგიისა და მიკრობიოლოგიის მიმართულებით — 2 ვაკანსია
სპირტიანი და უალკოჰოლო სასმელების ტექნოლოგიის მიმართულებით — 2 ვაკანსია
საკვები პროდუქტების ტექნოლოგიის მიმართულებით - 2 ვაკანსია

2. ასოცირებული პროფესორი

ეკონომიკის მიმართულებით — 1 ვაკანსია
ფინანსების მიმართულებით — 1 ვაკანსია
მენეჯმენტის მიმართულებით — 1 ვაკანსია
მარკეტინგის მიმართულებით — 1 ვაკანსია
მეღვინეობის მიმართულებით — 1 ვაკანსია
აგრონომიის მიმართულებით — 1 ვაკანსია
საკვები პროდუქტების და ნედლეულის ხარისხის კონტროლის ფიზიკურ-ქიმიური მეთოდების მიმართულებით — 1 ვაკანსია
უცხო ენების (ინგლისური, ფრანგული) მიმართულებით — 2 ვაკანსია
ტურიზმის მენეჯმენტის მიმართულებით — 2 ვაკანსია
ისტორიის მიმართულებით — 1 ვაკანსია
მათემატიკის მიმართულებით — 2 ვაკანსია
კომპიუტერული პროგრამების მიმართულებით — 1 ვაკანსია

3. ასისტენტ-პროფესორი

მენეჯმენტის მიმართულებით — 1 ვაკანსია
მარკეტინგის მიმართულებით — 1 ვაკანსია
კომპიუტერული პროგრამების მიმართულებით — 1 ვაკანსია
საკვები პროდუქტების ტექნოლოგიის მიმართულებით — 2 ვაკანსია.

საბუთების მიღება — 2016 წლის 12 აგვისტოდან 20 აგვისტომდე, ყოველდღე (კვირის გარდა) 10 საათიდან 17 საათამდე მისამართზე: თბილისი, 0194, საბურთალოს ქუჩა №38ა, სასწავლო უნივერსიტეტის ადამიანური რესურსების მართვის სამსახური.

კონკურსის პირველი ეტაპი ჩატარდება 2016 წლის 28-29 აგვისტოს, კონკურსის მეორე ეტაპი ჩატარდება 31 აგვისტოს. პირველ ეტაპზე მოხდება კონკურსანტების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტების ანალიზი და შეფასება (პირველ ეტაპზე გასული კონკურსანტების მონაცემები გამოქვეყნდება სასწავლო უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე www.qcug.edu.ge).

მეორე ეტაპზე მოხდება პირველ ეტაპზე გასულ კონკურსანტებთან გასაუბრება (გასაუბრება შესაძლებელია განხორციელდეს ინტერვიუების სახით, ტექნიკური საშუალებით).

კონკურსის შედეგები გამოქვეყნდება სასწავლო უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე კონკურსის დამთავრებიდან 10 დღის ვადაში.

კონკურსში გამარჯვებული აკადემიური პერსონალის თანამდებობებზე დანიშვნები და ხელშეკრულებების დადება განხორციელდება შედეგების გამოქვეყნებიდან 10 დღის ვადაში.

კონკურსში გამარჯვებულ აკადემიურ პერსონალს დაენიშნება ფიქსირებული ხელფასი:

სრულ პროფესორს — 700 ლარი; ასოცირებულ პროფესორს — 500 ლარი; ასისტენტ პროფესორს — 300 ლარი.

დაინტერესებულ პირებს აკადემიური პერსონალის შესარჩევი კონკურსის შესახებ დამატებითი ინფორმაცია, მათ შორის საკონკურსო პირობები, წარმოსადგენი დოკუმენტაცია და საგანმანათლებლო პროგრამების შესაბამისი სალექციო კურსების ჩამონათვალი შეუძლიათ იხილონ სასწავლო უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე www.qcug.edu.ge ან მობრძანდნენ სასწავლო უნივერსიტეტში.

დაწვრილებითი ინფორმაციის მიღება შესაძლებელია ტელეფონის ნომერზე: 595454441; 599294775.

სიყვარული ლუდზე ძლიერია

შეყვარებულობის გრძნობა მოზარდებზე დიდ ზეგავლენას ახდენს, მიაჩნიათ გერმანელ მეცნიერებს.

გამოკვლევისას დადგინდა, რომ შეყვარებული ახალგაზრდები ადვილად ამბობენ უარს მავნე ჩვევებზე, ნაკლებად ეტანებიან ალკოჰოლს.

სპეციალისტებმა ექსპერიმენტი ჩაატარეს, რომელშიც ათასზე მეტი 12-დან 18 წლამდე ასაკის მოზარდი მონაწილეობდა. ახალგაზრდებმა მკვლევარებს უამბეს, რომ სატრფოები ჰყავთ და ისიც არ დაუმალავთ, თუ რა ოდენობით მოიხმარენ ალკოჰოლს. აღმოჩნდა, რომ ის ახალგაზრდები, ვისაც შეყვარებულები ჰყავთ, „მარტოხელებზე“ გაცილებით უკეთ იქცევიან, თანაც ალკოჰოლზე უარის თქმა მათ შეყვარებულობის საწყისი ეტაპიდანვე დაიწყეს.

გულის მკვლელი ხმაური

იმ ადამიანებს, ვისაც გამუდმებით ხმაურიან გარემოში უწევთ ყოფნა, გულის დაავადებები სხვებზე მეტად აწუხებთ, აცხადებენ კენტუკის უნივერსიტეტის (აშშ) მეცნიერები.

შრომისუნარიან ადამიანებში სმენის დაკარგვა უფრო ხშირად ხმამაღალი ბგერების ქრონიკული ზეგავლენის მიზეზით ხდება. გარდა ამისა, ეს ხალხი სხვებთან შედარებით ორჯერ უფრო ხშირად გულის იშემიურ დაავადებას უჩივის. ეს კავშირი განსაკუთრებით შესამჩნევია 50 წელს გადაცილებულ პირებში.

სპეციალისტები რეკომენდაციას იძლევიან, რომ სამუშაო ადგილზეც და საცხოვრისშიც ბგერების დონე დარეგულირებული იყოს, რისთვისაც საჭიროა საგანგებო ბერუშების (ყურის საცობების), ანდა ყურსაფრების გამოყენება.

ვინა ვართ, საიდან გავჩნდით?

არსებობს ჰიპოთეზა, რომ დაახლოებით 14ათასი წლის წინათ, მოწინავე უცხო ცივილიზაციის წარმომადგენლები დედამიწაზე ჩამოვიდნენ.

პოპულარული ტელეწამყვანისა და წიგნის „ცდომილებათა ტერიტორიის“ ავტორის იგორ პროპოკენკოს აზრით, ჩვენმა შორეულმა წინაპრებმა უცხოპლანეტელები ღმერთებად, მათი კოსმოსური ხომალდები კი ცეცხლოვან ეტლებად აღიქვეს. სულ ახლახანს ჰონკონგელმა პროფესორმა ჯოუ ლიმ, რომელმაც ჩინეთის პროვინციაში აღმოჩენილი ძველი განამარხებები შეისწავლა, წამოაყენა ჰიპოთეზა იმის თაობაზე, რომ, ოდესღაც დედამიწაზე ერთდროულად არსებობდნენ ადამიანისმაგვარი მაიმუნებიც და მაღალგანვითარებულ ისტორიამდელ ადამიანთა პოპულაციაც. სწორედ ისინი იყვნენ ლეგენდებსა და ხალხურ თქმულებებში ასახულ ღვთაებათა პროტოტიპები და, ამასთან ერთად, მთელი კაცობრიობის მამები.

სხვათა შორის, ის, რომ ჩვენი „ღმერთები“ დიდი მოწადინებით მუშაობდნენ კაცთა ჯიშის გაუმჯობესებაზე მეცნიერულად დადასტურებული ფაქტია. მთელი ანტიკური მითოლოგია „ღმერთების“ მიწიერი მდედრების მიმართ სიყვარულზეა აგებული. მაგალითად, როგორც ვიცით, პერსევსი ღმერთ იუპიტერისა და მიწიერი ქალიშვილის დანაიას ვაჟიშვილი იყო, ღმერთების შვილები იყვნენ ეგვიპტელი ფარაონები. მითების თანახმად, თვით ბუდაც ერთი „ახალგაზრდა ღმერთისა“ და უბრალო ქალიშვილის ვაჟი იყო, რომელსაც ზეცის მკვიდრი ტყეში გადაეყარა.

ბოლო დროს ჰიპოთეზას, რომ ადამიანი ადამიანისმაგვარი მაიმუნისა და შორეული დაღუპული ცივილიზაციის წარმომადგენელთა შთამომავალია, მთელ მსოფლიოში სულ უფრო მეტი მომხრე უჩნდება.

დიაგნოზი — წვეთი სისხლით

ამერიკელმა მკვლევარებმა განაცხადეს, რომ 2019 წლისთვის, სისხლის ანალიზის ტესტს შექმნიან, რომლითაც დახმარებით კიბოთი დაავადების ყველა სახეობის დადგენა იქნება შესაძლებელი ადრეულ სტადიაზე.

თქმა არ უნდა, ადრეული დიაგნოსტიკა — კიბოს დამარცხებაში გადამწყვეტი პირობაა. ამასთან, მედიკოსები აღნიშნავენ იმ გარემოებასაც, რომ ასეთი ტესტი თავდაპირველად ძალიან ძვირი ეღირება, ამდენად გამოკვლევების მასობრივად ჩატარება, როგორც ჩანს, გაცილებით შორეული პერსპექტივაა.

ძლიერი წვიმა იმერეთში

იმერეთში უხვმა ნალექმა სამტრედიის, ბაღდათისა და ვანის რაიონები დატბორა. ადგილობრივების განცხადებით, ვანში გადაუღებელი წვიმის შედეგად მდინარეები ადიდდა და წყალი საცხოვრებელ სახლებში შევიდა, დატბორილია სახნავ-სათესი მიწები და დაზიანებულია გზები. წვიმის შედეგად მოსახლეობას არ მიეწოდება ელექტროენერგია და ბუნებრივი აირი. დატბორილ ტერიტორიებზე სამაშველო ბრიგადები და მძიმე ტექნიკა მუშაობენ.

გამგეობებში შექმნილია სპეციალური ჯგუფები, რომლებიც ზარალის მოცულობას დაადგენენ.

იმერეთში რამდენიმე დღეა უხვი ნალექია, სამი დღის წინ, ძლიერმა წვიმამ ზესტაფონის ცენტრალური ქუჩა დატბორა.

განცხადება

იყიდება უშუალოდ კურორტ „საირმის“ ტერიტორიაზე, სამკურნალო წყლებიდან რამდენიმე ათეული მეტრის დაშორებით მდებარე 2433 კვ. მეტრი საუკეთესო მიწის ნაკვეთი. ფასი — შეთანხმებით. ტელ.: 599 36 00 35; 599 17 21 21; 599 79 76 79.

იყიდება დიდი დიღმის პირველ მიკრორაიონში, კლინიკა „იმედიდან“ ორასიოდე მეტრში მდებარე მიწის ნაკვეთი, რომელიც კაპიტალური გალავნით არის შემოღობილი და სხვადასხვა სახეობის ასამდე მსხმოიარე ნარგავითაა განაშენიანებული. ყველა კომუნიკაცია (გაზი, დენი, კანალიზაცია) ჭიშკართანაა მიყვანილი, წყალი კი შეყვანილია. ნაკვეთის ფართობია 1250 კვ. მეტრი. შეიძლება ნახევრის ყიდვაც. ფასი — შეთანხმებით. ტელ.: 598 51 81 35; 599 16 81 71; 599 11 19 11.

◎ ანეკდოტები

დედა-შვილი კურორტიდან დაბრუნდნენ.

— როგორ დაისვენეთ? — იკითხა ქმარმა.

— ძალიან კარგად, — პასუხობს ცოლი, საბჭოთა კავშირის ჩემპიონი გავიცანი კარატეში... ნამდვილი გმირია...

— გმირი არა ისა — წამოაყრანტალა ბავშვმა, — ბნელ ოთახში უშენოდ შესვლის ეშინოდა.

* * *

ახალგაზრდა ცოლ-ქმარი მსჯელობს, წავიდნენ თუ არა ნუდისტურ პლაჟზე. ცოლი უარს არის:

— არ წამოვალ, ყველა იფიქრებს, რომ ანგარებით გამოგყევი ცოლად.

* * *

არაფერი ისე არ აცინებს ღმერთს, როგორც ამინდის პროგნოზი.

— **მამი**, მამი, სად მიდიან წეროები, ბავშვებს რომ დაარიგებენ, მერე?

— სადა შვილო და შარვალში.

* * *

— **რა** არის: 15 სანტიმეტრი სიგრძის და 7 სანტიმეტრი სიგანის და ძალიან მოსწონთ ქალებს?

— ას დოლარიანი ბანკნოტი.

* * *

— **ბებია**, რატომ ჰკიდია ჩვენს სახლში ყველგან თვალის სურათი?

— იმიტომ, რომ ბაბუაშენი თვალის ექიმი იყო.

* * *

მეტროში საშინელი ჭყლეტაა, ქალი შემთხვევით წაავლებს პენისზე ხელს გვერდით მდგომ მამაკაცს.

— **უი**, უკაცრავად.

— არავითარი უკაცრავად, მე მოჭადრაკე ვარ, თუ ხელი მოკიდეთ, თამაში უნდა გააგრძელოთ.

* * *

მიხოს სიდედრი მოუკვდა, გახსნეს ანდერძი და შიგ სწერია:

— ჩემს გოგოსა თეკლესა 6500 ლარი.

— ჩემს უფროს შვილიშვილსა — 3500 ლარი.

— ჩემს უმცროს შვილიშვილს — 1500 ლარი.

— ჩემს სიძეს კიდე, რომელიც მეხვეწებოდა რომ ანდერძში მომიგონეო, ვიგონებ „პრივეტ მიხოვ“!

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
მაჩაბლის ქ. №7

მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ძობულია
293-37-87
599 36-00-35

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი
599 53-76-16;
ალეკო ასლანიშვილი
599 56-81-86;
რუსლან რუსია
599 17-21-21;

პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე
514 33-33-24

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება გამომცემლობა „კოლორში“
რკინიგზის ჩიხი №20

uac(უაკ)070.4(479.22)
ს—323
ISSN 2233-3851
9 772233 385001

ავტორთა საყურადღებოდ!

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

გამოიწერეთ:
6 თვით — 60 ლარი,
1 წლით — 120 ლარი.
მიმართეთ: „საქართველოს რესპუბლიკის“ რედაქცია — 2 93 37 87; 599 79 76 79; „მაცნე“ — 2143906; „ელვასერვისი“ — 2 388 012; „პლანეტა-ფორტე“ — 2 988 990; „პრესა-2012“ — 2341140; „ოლიმპი“ — 599 15 19 69; „პრესა+“ — 551555444; „ჯეომედია“ — 593 977 888.

ჩვენი მისამართია:
ქ. თბილისი, ი. მაჩაბლის 7.

ხელმოწერის ინდექსი
66434

უცხოური ვალუტის კურსი:
აშშ დოლარი - 2.307; ევრო - 2.57;
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 3.065;
100 რუბლი - 3.612; თურქული ლირა - 0.796;
აზერბაიჯანული მანათი - 1.463;
1000 სომხური დრამი - 5.831

ამინდი 9 ივლისისთვის

აღმოსავლეთი საქართველო:		
ბარი -	ღამე +15,	დღე +30
მთიანი რაიონები -	ღამე +11,	დღე +27
დასავლეთი საქართველო:		
ბარი -	ღამე +17,	დღე +31
მთიანი რაიონები -	ღამე +13,	დღე +28
თბილისი:	ღამე +18,	დღე +26

დაგვირეკეთ, მოგვწერეთ:
ტელ: 293-37-87, 599-79-76-79
WWW.SAKRESP.GE